8. [გერმანე ხუცეს-მონაზონი]. „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისაჲ. — მოწაფე ჰკითხეაეს და მოძღვარი ასწავლის. — უწყოდეთ რ' მჭ. იტყჳს მოწაფესა და მძრი — იტყჳს მოძღვარსა. — მჭ. ვინ არს ღმერთი ანუ რაჲ შეუძლიან?

მძ. — ღმერთი ძლიერი არს და ჴელმწიფე..." 108r—161r.

**შენიშვნა:** 1. გერმანე ხუცეს-მონაზონის ეს სახელმძღვანელო შეიცავს ავრეთვე ცალკე თავს: „სწავლა შვიდის საიდუმლისა, შემოკლებულად თქმული" (126r—161r).

2. გერმანეს ანდერძში მისი სახელის ნაცვლად გადაშენილ თავისი სახელი რატწურაა (იხ. ავრეთვე ამავე №-ის 260-ის აღწერილობის § 1-ლის ანდერძი და შენიშვნა მის შესახებ).

**ანდერძი** (გერმანე ხუცეს-მონაზონისა): „ეჳ არს სწავლა შვიდის საიდუმლისაჲ, შემოკლებულად თქმული. გელოცავ გლახაკი ბერი მიტროფანე[!] ყრმანო ახლად მოსწავლენო, რათა აკითხედით და ზედიზედ დაისწავლიდეთ. ამისთ[ჳ]ს დავწერე საეროსა და სოფლურის სიტყჳთა, რომ სიადვილისათჳს მსწრაფლ ზედ მიიწიენეთ და მტკიცედ დაიჭედეთ გონებასა და ჩემ ცოდვილისათჳს შეწდობას იტყოდეთ".

შდრ. ვახტანგ VI-ის სტამბის ამავე სათარიღო 1711 წელს გამოცემული, მხედრული შრიფტით დაბეჭდილი წიგნის ანდერძი; იხ. კრ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში. თბ. 1955, გვ. 139—142, 194—195, მიტროფანეს მიერ ამ თხზულების ავტოგრაფის მიუნებენ, ეჭვიც გამოთქმულა შეზნეული (იქ. გვ. 161, შარაძეული ნაპირზე, სახელი მიტროფანეს გასწორივ მიწერილია: „გერმანე უწდა!")

9. [შვიდი „მომაკვდინებელი ცოდვის „სათვითოდ განმარტება: „შუორა არს პირველი შვიდთა სასიკუდინეთა ცოდვითაგან..." 162v—168r.

**შენიშვნა:** 1. ჯარდა შურისა განმარტებულია: ვეებერის მოყვარება, სიძვა, მეცნიერთ უპატიება, ამპარტავნება, უდებება და რისხვა.

2. ტექსტის ბოლოს გადაწერის თინაწერი: „აღწერული ამისი მთავარდიაკონი მიტროფანე ჴმაღლად უთხრა".

## 261

### რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. XVII

224 ფ.: 23×19,5; ქაღალდი, ჭეროვნშრიანი; შეკვეთის ყდა, ტექნარეულ საბეჭდაო ტაფიფრული ტყავით შემოსილი; ხელმაწერის ფ.ფ. მეტად დახიანებული; 1-ლი ფ. ზემო ყურე და ქვემო კიდე მთლიანად და ტაკარნული ნაწილი ირიბად გაბეულია ორად და თეთრი აბრეშუმის ძაფით არის მიმაგრებული, იგივე 1-ლი ფურცლით უხეშად რესტავრირებულია XIX საუკუნეში, ამჟამ მდგომარეობაში არის ავრეთვე 157-ე ფ., რომლის მთლიანი ნაწილი მიკერებულია თეთრი აბრეშუმის ძაფით გაბეულია ავრეთვე 19, 20, 21, 27, 68, 78, 84—87, 94, 102, 112, 114, 158 ფურცლები. ზოგიერთი მათგანი უხეშად რესტავრირებულია (20, 21, 27, 69, 78, 94); ლაქებიანია 13v, 128, 129 ფ.ფ.; უმნიშვნელო ნაშთებს სახით არის მიჰეუფია 140—141 ფ.ფ.; მოცილებულია დასეულ-დახიანებულია ავრეთვე 2—5, 6—7, 135, 136, 137 ფ.ფ. მოცილებულია 138—158, 215—224 ფ. ამათგან მეტად არის დახიანებული 221—224 ამ უკანასკნელს 1/8 ნაწილი აკლია, ვიხსაკან დახიანებულია 96—122 ფფ. ნაპირი; ყოველი გვერდის ტექსტი ნაწერილია ფერადებით (იქრო-მელნით, წითლით, მწვანით, ლურჯით და შავით) დახიხულ ოთხკუთხედ ჩარჩოში; ჩანებული მხედრულით, სათაურები, სტროფების დასაწყისი სიტყვები, სტროფის მეოთხე სტროკონის დასაწყისი „და" — სინგურით; უთარიღო (ქეირნშრის მიხედვით) — XVII საუკუნისა; ალექსანდრე ილიას ძის ჯავახიშვილისაგან შეძენილია 1933 წ.

[„ვეფხისტყაოსანი"]. „დასაწყისი პირველი. ამბაჲი რუსთველისაგან ქართულ[ჲ] ნათარგმანები, რომელსა ვეფხისტყაოსნად უწყობენ..." „ამბავ[ი] პირველი არაბეთა მეფისა როსტევანისა.

იყო არაბეთს როსტევან მეფე, ღვთისაგან სვეანი..." 4r—194r.

თავდება: — „და ვითა მაროებდეს, პეროზდეს. ღვინოსა სმიდეს — არ დოსაო.

**შენიშვნა:** 1. „ვეფხისტყაოსნის" ეს წუხსა შესანიშნავია თავისი დამატებების სიმრავლით, როგორც პოემის თავსა და ბოლოში, აგრეთვე ძირითად ტექსტშიაც.

ჯესჩეს წინ ეძღვნის „ვეფხისტყაოსნის" შესავალი ნაწილი, რომელიც ამ ხელნაწერში გამოკვეთილია ყალბი სტროფების სიმრავლეში. ისი იწყება:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქუამია იგ სპარსულად. უქმობით ვეფხისტყაოსნებით..." (1r—4v).

სულ 30 სტროფი.

2. ბოლოში ხელნაწერის დართული აქვს:

ა. „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკუდილის ცნობა" (194v—197r).

ბ. „ტარიელისაგან ინდოეთს მისული და ხატაელთა დამორჩილება" (197r—201v).

გ. „ქორწილი ტარიელისა და ნესტან[ა]ნ დარეჯანისა" (201v—205r).

დ. „ამა ტარიელის დასნეულება და ხვარაზმშა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსული" (205v—214r).

ე. „ამა ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა" (214r—221r).

ვ. „სიკუდილი ტარიელისა და ცოლისა მის[ი]სა ნესტან— დარეჯანისა)." (221r-v)

ზ. „ანდერძი[ ავთანდილისა სიკუდილის ჟამსა" (222r—223r).

თ. „მოსული ფრიდონისა და ტარ[იელისა]" (223r—224v).

თავდება:

„ცუდია ესე სოფელი, ვითა სიზმარი ღამისა,
არ მიბუმბრი საჭურკლე დედისა არცა მამისა,
ღანაზისა ჭარი ქრის, ვითა ერთისა წამისა
და ორად დანდე]ბის ერი ტკბილისა თვალ-წამებამისა".

2. გარდა ტექნიკური აღწერილობაში აღნიშნული დახიანებისა ხელნაწერს ემჩნევა მკვლევართა მუშაობის კვალი:

ა. კიდეებში ანტრისიფური ფანქრით აღნიშნულია სტროფების სათვალავი.

ბ. ჩვეულებრივი ფანქრით აღნიშნულია (ზაზვაძეული) სიტყვები და სტრიქონები — ამ ნუხის განსხვავებული ლექსიკა და სხვ.

3. დაწერილებით აწერილია: ალ. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსნის" ახალი ხელნაწერი, მოკლე აღწერილობა; ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ. 1935, გვ. 400—410.

4. ორ ადგილს გამოტოვებული სტროფები აღდგენილია XIX ს. ხელით, ქვემო ველზე.

ა. „ავთანდილ ლაღი, უკადრი, მიეკა — არეისგან ჰსცხენოდა..." (მთელი სტროფი) (16r).

ბ. „დღეჩი, ლაშა, შენდა ნაცდელად სიტყუა ვისმეცა დანერგვდეს..." (მთლიანად 23r).

მინაწერები:

I. ყდის შიგნითა ზედა:

„იმათა ასვამ, ასეთი ითესა თავსა ატანი". I ყდის შიგნიდან, რაც ერთნაირად იკითხება თავიდანაც და ბოლოდანაც.

II. მეორე ყდის შიგნითა ზედა შემნეული კრიპტოგრაფიული მინაწერები.

## 262

### ტეზეი (ფრაგმენტი). XIX

4 ფ.; 35×22; ქაღალდი (თაბახი); უცდო. აღკინძავი; ფ. ფ. ერთი ადგილას გამოწეწილია; მხედრული (დასწყისი ასოები მთავრულით) — მტკად ლამაზი ხელი XIX ს.; შემოწირულია აღ. ყაუხიშვილის მემკვიდრეთაგან 1933.

[ტეზეი]. მოქმედება პირველი. თეატრი წარმოადგენს ველსა, წინად ამა ველისა დაცემულ არს მეფის ტალავარი; შორიდამერთს მხარეს ჩანს ქალაქი ატინა, მეორეს მხარეს ტაძარი ევმენიდისა, რომელსაცა გარშემო ატყია კიპაროზის ხეები. **წარმოდგენა პირველი.** მეფე ტეზეი გამოდის ტალავარიდამ. ერნი ატინელთანი ჩამოდიან მთიდამ; მცუწლნი მეფისანი იყოფებიან ტალავარისა თანა. **ერთობრ ქმა ერთა:** „ვითარ ძნეჲ ცხადად აღმოსულებასა ზედა არს შემოდგომით სრულიად ბუნებისა აღიძებს, ესრედ კეთილი მეფე ჩუენი, თვისითა მოსულითა გულთა ჩუენთა ამხიარულებს...“ 1r—4v.

**წყებაჲ:** „...წარმოვედ შენ ჩემთანა! ჩემნი ერნი შეკრებილ არიან ტაძარსა შინა ევმენიდისასა. იხილე ჩემი მოფიცრებაჲ! მოისმენ ხმათა მათთა, იხილავე სიყუარულსა ტეზეისადმი და ცივინელთაცა აუწყებ, რომელ პირისპირ დადგომაჲ“.

## 263

### სამღდელმთავრო კონდაკი. XVIII

196 ფ.; 31×19,5; ქაღალდი; ხის ყდა ტყავგადაკრული, ოქროთი ტიტრული ტყაეთ შემოსილი, ყუაშემოცეცთილი, დახეულ-დაჰპეწილი, ჰეჰყიანი; ყდის II ფურთა მთლად მოცილებულია: იგი სხვა ხელნაწერის (პარაკლიტონის) უნდა იყოს; ხელნაწერის ფურცლები შეტად დახიანებულია, როგორც სინესტისაგან, აგრეთვე ზხამიანი შავი მელნის შეჭმულებისაგან, შეწებებია 3—4, 5—6—7ფ.; დახეული და შელესილისაგან გაცვეთილია 3, 5, 6, 7, 13, 15, 140, 156, 164, 165 ფ.ფ.; ამოვარდნილია: 1, 68—75 ფ. ფ.; სწორი, მსხვილი, გარკვეული ნუსხურით; ტექსტის დიდი ნაწილი (ვაწწყებანი) დაწერილია სინჯურით XVIII ს.; შემცველია ილარიონ კორიძელისაგან; ჩამოტანილია სამთავისიდან [1933].

[სამღდელმთავრო კონდაკი]. „წესი სამ<sup></sup>ღდელოსა და სა<sup></sup>ღთოსა ჟამის წირვისა, წ<sup></sup>ესთა შორის მამისა ჩუნისა ი<sup></sup>რ ოქროპირისა. ვითარ ჯერ<sup></sup>წჩს წირვა პატრიარქსა, მსგავსად შემდგომთაცა მღდელ-მთავართა. — ოდეს იქმნების დღესასწაული მოწყენასა ანუ ზეიმასა ჟამის წირვისაჲ, წარვიდეს პატრიარქი წ<sup></sup>ა ტაძარსა. მივალს პატრიარქისა პრიმიკერიოს ლამპრითურთ. რ<sup></sup>ლ ჯერეთ პატრიარქი სახლსა შინა თჳსსა იყოფებოდეს, მღდელთმთავრებითურთ და არქიმანდრიტებითურთ, მ<sup></sup>ღდლებ<sup></sup>ა, კლერიკოსებით და სრულ კრებულებითა თჳსითა, ხოლო პრიმიკირი დადგების წინაშე პატრიარქისა მნთებარე ლამპრითა და ჰყოფს თაყუანისცემასა პატრიარქისა მიმართ. პატრიარქი აღდგების ადგილისაგან თჳსისა და წარვალს ეკლესიად და წინაშე მისსა უძღუან მიწესენი, რომელ არს მო<sup></sup>ძღუენი [!], ეგრეთ დიაკონნი და მ<sup></sup>ღდელნი. ხოლო კლერიკოზნი მივადოდენ რაჲ, გალობენ დასდებელთა დღესასწაულისათა. ეგრეთ პრიმიკერი ვალს წინაშე პატრიარქისა, მჭვრეტელ ლამპრისა...“ 1r—195r.

**შედგენილობა**: 1. „სა[ღ]თო წ[ი]რა [ი]ოანე[ს] ოქროპირისა“ (1r—91r).
2. „ჩამოლოცვანი სიტყუანი დღესასწაულთანი“. (91v—93).
3. „სა[ღ]თო წ[ი]რა წ[ი]სა... დ[ი]დ[ი]სა ბ[ა]სილ[ი]სი“. (95r—136r).
4. „სა[ღ]თო წ[ი]რა სიწმიდის განბანებისა... დ[ი]დ[ი]სა გ[რ]ი[გო]ლ[ო]სი“ (137r—151).
5. „წესი დადგინებისათჳს წოდ[ე]ნის მ[ღ]ვდ[ე]ლ[თ]ა ანუ მ[ა]ლობელ[თ]ა“. ანუ „კელდასხმა“ დიაკონისა, მ[ღ]ვდლისა და სხ. (152r—195r).

წ[ყ]ნდ[ე]ბა: „პატრიარქმან... „მომჴსენებელნი უკუე საცხოვრებელისა ამის მცნებისა და ყოველთა ჩ[ვ]ენთათჳს ქრ[ისტ]ჱსა“.

**შენიშვნა**: 1. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს რუსეთში, ი[ო]ს[ებ] ს[ა]მებ[ე]ლ[ო]ს (წ[ი]გნ[ი]ს დ[ი]დ[ი] არქ[ი]ეპ[ი]ს[კ]ო[პ]ოსი[ს]) დავალებით.
2. შემდეგში ხელნაწერი მიტროპოლიტის ათანასე თბილელის (ამილახვარის) ხელში ჩავარდნილა, ხოლო ამ უკანასკნელს შუაწერავს სამთავისის ეკლესიისათვის (იხ. ათანასე თბილელის მინაწერი).
**მინაწერები**: ა. „ჲ[ო]ანე შენი ოროსებ“ (66r. წერილი ნოსხურით. ქვ. ნაპირზე).
ბ. „ქ. ეს სამღ[ვ]დელთმთავრო კონდაკი სამთავრ[ო]ს ღ[ვ]თაებ[ი]ს ეკლ[ე]სი[ი]ისათვის შეგვიწირავს. ვინც გამოსწეროს, ისიც[ე] რისხავს. წესსა აგვისტოს კა ჩლოზ. მდაბალი მიტრაპოლიტი ათანასე“.
(193r-v, 194r-v, 195r — ქუდო ნაპირებზე, მსხვილი, გაკრული მხედრულით).

## 264

### ხახარება ლუკას თავი. XVIII

58. ფ.; 5.5×4,5 (პირველი ორი ფ. 5×4,5); ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა ზოგიერთ პირისფერ ქაღალდ-გაკრული; მეტად წვრილი ნუსხურით, ორ-ორ სვეტად; 1r-ზე სათაური მთავრული ასოებით, ჩართულად. სინგურით; XVIII ს.; გადაწერილია გ[რ]ი[გო]ლ მხ[ა]ტ[ა]რის ძ[ა]ლ[ე]ს[ი]. 56v; შეფერილია დ. არავიძისაგან 1933.

„ს[ა]ხ[ა]რებ[ა] ლ[უ]კ[ა]ს[ი]. თ[ა]ვი პ[ი]რ[ვ]ელ[ი]. — ვინ[ა]თგან უკუე მრავალთა ჴელყუ[ნ]ს აღწერად მოთხრობისა საქ[ე]ცთათჳს გულსავსე ქრ[ისტ]ჱ ჩ[ვ]ნ შორის...“ 1r—55v.

**შენიშვნა**: 1. ტექსტს დართული აქვს: ა. „შესხმა წ[ი]სა მახარებელისა, თქმული სოფრონის მიერ“. (57r-v).
ბ. „შესხმა კრებულად მახარებელისა იოანესი, თქმული გ[რ]ი[გო]ს, მოწამისა სინოპელისა ეპისკოპოსისა მიერ“. (58r).
**ანდერძი** გადამწერისა: „ღმერთო! შეიწყალე გ[რ]ი[გო]ლ მხ[ა]ტ[ა]რის ძ[ა]ლ[ე]ქსი, ამა წიგნის მწუსხელი“ (56v).

## 265

### ავგაროზი. XIX

7 ც[ალი]: 228,5×10; ქაღალდი, ერთმანეთზე გადაწებებული; 1 კეცის ნაწილი მოხეულია, დანარჩენი ნაწილიც დახიანებული: მთელი ქაღალდი რამდენიმე ადგილას შეჩმულია ჭიისაგან; მხედრული, გაკრული, მსხვილი ხელით; XIX ს., აქვს რამდენიმე ფერით შესრულებული, უხეში, ეულებრული ილუსტრაცია: ჩვილიდი ღვთისმშობლისა, ანგელოზისა, ჯვარისა, კიდობნისა, წმ. გიორგისა და სხვ. შემოწირველი რ. გაბუნია.

[ა]ვ[გ]ა[რ]ო[ზ]ი[ა]. 1. „[ს]ახ[ა]რებ[ა] იოანესაგან. თავი 1. 1. პირველითგან იყო სიტყუა ... სოფელსა შინა იყო და[ა] სოფელი მის მიერ შეიქმნა და]

სოფელ[მან]... [იგი] ვერ იცნა...“ I კეფი და II კეფის 1/3 ნაწილი—r. იოანე, თავი 1, მუხ. 10—17.

2. „ოთხნო თავნო სახარებანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე! შენ განაჭარეე ყოველი ჴირი და სნეულება სენისა, სენებისა, ცხელების და უკამოს...“ მეორე კეფის მესამედი და III კეფის ნაწილი.

3. „ებისტოლე ესე, რომელი მიუწერა ავგაროზ მთავარმა ედესის ქალაქისამა[ნ] უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა...“

4. „წმინდანო ანგელოზნო ზეცისანო, მხედრობანო. და ძალნო უფლისანო...“ მე-6 კეფი და მე-7 კეფის r; გადადის მე-7 კეფის v-ზე.

**შენიშვნა:** 1. იხსენიებიან — „მიქელ და გაბრიელ, ურიელ, გურიელ[!], რაფიელ, რაშთიელ“. და სხვა მრავალ წმიდათა სახელები: სხვათა შორის: „ნინო, ქართველთა განმანათლებელი“ და აქვე — „წმინდა ნიკოლოზ, განმანათლებელი რუსეთისა“.

2. შემდგომი ლოცვები მიმართულია სხვადასხვა ტაძრების ღვთისმშობლისადმი, მოდებვისა, ბოდნისი [!]. ანანურისა, ქვთა[ხ]ეველისა, შუამთისა, „ვარძიელისა“ [!], იტრია[ლ]სა, ბაბწულისა.

5. „ტყეცთა განმთავისუფლებელო და გლახაკთა ხელის ამპყრობელ[ო], სნეულთ მკურნელო, ყოველთა ქრისტიანეთა შემწეო, დიდო მთავარმოწყალეო, ღმუწლის მაძლეო გოორგი...“

**შენიშვნა:** ჩამოთვლილია: „წმ. გიორგი იერუსალიმისა...“ გალატის, ბეთლემის ნაზარეთის, ცესარია-კაპადოკიის... თესალონიკისა, კორინთისა, თბილისის ადგილისა... ტიბერიასა, ურიასტანისა...“ ჩხარისა, მაცხოვრისა, წყდისა, მრავალძერხისა, კახორისა, კოლაპურისა, დიდებისა, ქუთაისისა, ქანისა, ფერსთისა, გაღრისა, გესსანისა, სვიმონეთისა, მეხრისა, ჩაქვისა, მთელი იმერეთისა, შორაშისა, ჭალადიდისა, კუდაშისა, ხეგრისა, მერისა, ვახანისა, ჭარტლისა, მთაწმინდისა, სავანეთისა... დაბისა, დამსტურისა, ჭერმისთვისა, ფსანეთისა, ატოლისა [!], გორის-ჯუკრისა, ლომისა მთავარმოწამისა ხეარასანტყეცთმხსნელისა, ალავერდისა... (დანარჩენი მოხეულია).

„ავგაროზის“ ტექსტი ა-მეტია.

**მინაწერები:** 1. იხსენიება ვინმე გ ე თ ე ვ ა ნ (ტექსტის ხელით).

2. „ცნობის მეხეიმე. რ, გ ა ბ უ ნ ი ა, 1933, 20, IV“. ლეონჯი მელითა.

## 266

### ლოცვანი. XIX

266 ფ.; 17×0,5; სადა ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა, მთლად მოცილებული. მეტად ჰუმეიანი; ხოგიერთი ფ. მოცილებული. კიდეებშემოცვეთილი: 206—210, 223, 232, 234, 265; მხედრული; XIX ს.; მრავალ ადგილას აქეს მეტად მდარე თავსახმეულობა: 2r, 16r, 17r, 21r, 83r და სხე. ჩამოტანილია ახალციხიდან გ. ბოჭორიძის მიერ 1933.

[ლ ო ც ვ ა ნ ი]. „წირვაზედ წასელის უწინ ეს ლოცვა სთქვი: „დიდება მამასა, რომ გამაჩინა, დიდება ძესა, რომ დამიხსნა...“ 1r—264v.

წ ყ დ ე ბ ა: „გულით ლოცვის“ შემდეგ ადგილას: „მსწრაფად და სიმბიარეთ (წა)იყვანე სახლსა შინა შენსა, სულო ჩემო, გლახაკნი, მაშვილნი და მ[კმ]ლობელნი და გარემოისნი ტაბლასა შენსა ზედა ბრმანი, უძლურნი და სნეულნი, რომ იმათი სტუმრო“.

**შენიშვნა:** 1. ლოცვების ენობრივი თავისებები, სათაურები და მთელი შედგენილობა დიდად განსხვავებს ამ ლოცვანს „მართლმადიდებლური „ლოცვანის“ ჩვეულებრივი ტიპისაგან.

2. ცხადია, „ლოცვანი“ ქართველ კათოლიკეთა წრეში არის შედგენილი და გადაწერილი (იხ. 9r-ზე წმინდათა ნუსხაში „წმიდაი ლუჩია... ანესია“; დამახასიათებელია ბგრემიც „სულის ანდერძი“, „ფიქრის ლოცვა“, „გულით ლოცვა“.

3. ხელნაწერს ჰქონია „ზანდუკი“, რომლისგანაც მხოლოდ ერთი ფურცელია დარჩენილი: „ლოცვა ბუთი დაკოდილისა ქრისტესი“. (273, 278).

„ლოცვა ყ“დ წ“ის შიდი ლაზერისა“ (265r-v).

4. ყდის II ფრთაზე მიკრული ყოფილა ერთი ფურცელი სხვა ხელნაწერიდან, სხვა ხელით ნაწერი (ტექსტი კრისტეს წამების მოთხრობის ნუსხა შეიცავდეს): „...ბით და ელესი ეწესი ათას ექვსას სამოცდა ექვსი შოლტი ჰკრეს. ჰოი, უი, ჩემო იესო ქრისტეო...“ (266r-v).

## 267

### ხვანეთის კრების მატიანე. IX—XI, XV—XVI

15 კრეტი, 3 მეტრი და 35 სმ ვრ ანაწილი; ეტრატი; უმეტესი ნაწილი პალიმფსესტია; ზოგიერთი კეფი მეტად დახიანებულია; გადაკერებული ერთმანეთზე, ზოგან წითელი ძაფით. [„მატიანე ხუანეთისა კრებისა“].

I კეფი. 12×13; ეტრატი-პალიმფსესტი; თითქმის ნახევარი თაგვისაგან დაზრუნულია; გადარჩენილი ნაწილი უხეშად რესტავრირებულია ეტრატის ნაჭრებით; კეფის r-v-ზე ძველი ტექსტი, XI ს. კუთხეები, წვრილი ნუსხურით ნაწერი, გადასლილია; r-ზე ტექსტი. ოდესღაც ქანჭისფერი მელნით დაწერილი, „აღდგენილია“ შავი მელნით, დამახინჯებით; [XV—XVI ს.?] ნუსხურით; თავსკლეტილი: ახალი ტექსტი დაწერილია მხოლოდ r-ზე.

ხვანეთის კრების მატიანე

„იგიმცა ქაცი კორმ...
ფილისა შჳანმ შიმ
ცქლ[ებოდესჲ ს[ა]ჯ“კოსჲ...
ორჩჲ უცხრმილი დი[?]...
ესე არს ყ“დ წ“ი და...
ა, რ[ომელ]ნი დასხნესა და განაწ[ინნეს წ“თა]
მოციქულთა პრძ[ანებითა და...]
თა ჰრომსი და ი[ე]რუსა[ლემის მო]ნასტერთა და ქა[ლა]ქთა
და ეკელ[სია]სა“.

II კეფი. 12,5×13; ეტრატი-პალიმფსესტი; როგორც ჩანს, იმავე ძველი, XI ს. ხელნაწერისა, რომელიც გამოყენებულია I კეფისათვის (იხ.); იმავე ძველი, XI ს. ხელით და შავი მელნით ჯაჭვუელებული ვეკანდელი ტექსტით (შეტად დახიანებულია); [XV—XVI ს.] ნუსხურით. ახალი ტექსტი დაწერილია მხოლოდ r-ზე.

„დაიწერა წ[მიდაჲ ეს]ე სალოცველ[ად ქრისტ]ანეთა კრებისა [ყო]ველთა და შემოქ[მ]ედ[ებ]თათჳს [ჭ]ინ[ც(...)... არს ა[მა კრებასა]... მოე[გება] [და სული] შე[ჰ]ვედრა]... [ყოველთა შ]ეუნდ[ვნეს ღ]ერთმან[ი]“.

III კეფი. 17×19; ეტრატი-პალიმფსესტი; ძველი ტექსტი უკლებლად გადარეცხილია და ალარ ირჩევა; წინა (II) კეფს უკავშირდება გადაკერებით; მომდევნოს (IV)—გადაწებებით; აქაც ძველი, გადასული ტექსტი გაცხოველებულია შავი მელნით [XV—XVI ს.] ნუსხურით; დაწერილია ამ კეფის r-ცა და v-ც. დახიანებულთა თაგვისაგან.

„ღერთო! ამწენე, აკურთხე ს[ახლი...]
სი ორსაგანის, კეთილის ყოფ[ითა]...“

შენიშვნა: ამავე III კეფის V-ზე „ს“ა ღ“ორის კუ“ცესა... მეუღლჲა მის[ა]..., თე“დრს ცოდვილის...“

IV კედი. 17×21; ეტრატი-პალიმფსესტი; r-v-ზე საკმარისად გარკვეულად ჩანს X ს. სწორი მრგვლოვანით ნაწერი სტრიქონები; r-ზე ძველად დაწერილი გადასული მოსახსენებლები აღდგენილია შავი მელნით, ნუსხურით, იმავე ხელით, რომლითაც წინა კედებზე:

„სულსა ⁂გიდრესა ურსგანას შ̃ნ ღ̃ნ. ალა[ალილუია]...“

**შენიშვნა:** ამ (IV) კედის v-ზე არის გადასული მინაწერი XVI—XVII ს. ნუსხურით:

„ამ მთ̃ლ თ̃ქ̃ სახელ
სოფელში სა[?] აქვს და ფ̃რანს
მას ზედა ბუნაფლისა და არც და
სანთელ დადგის კვეშა კუ-
მრელისა სასანთელსა ზედა ჰნ-
თობენი იგი...“
(აქნებ ეს იყოს პალიმფსესტის ძველი ტექსტის ამოკითხვა).

V კედი. 26×23; ეტრატი-პალიმფსესტი; ძველი ტექსტი IX—X ს. მსხვილი მრგვლოვანით; ახალი — XVI ს. გამართული ნუსხურით r-ზე:

„ღმერთო! აშენე, აკურთხე სახლი საყოფელი აზნაურის ბაბანისა და, ღმერთო, მიეც დღე აზნაურს და მის შვილებსა. სულსა დ[იდე]ბუ[ლ]სა⁂ რასტმს ბაბიანისა“...

„...სულსა ამა ციხისა აღმაშენებელისა ბადის მარეგიანისა შ̃ნს ღ̃ნ. ღმერთო! მიეც დღე აზნაურს ბაბიანისა! ორი მარტიანი მოასონა სალოცველად... ჯაკეული შესწირეს. სულსა ამის მწერალსა თამანდის გადრანისა შ̃ნ ღ̃ნ...“.

**შენიშვნა:** v-ზე მკრთალი შავი მელნით დაწერილი 9 სტრიქონიანი ტექსტი ძალზე გადასულია; დაწერილია r-ს ტექსტის ხელისაგან განსხვავებული (XV ს.) მსხვილი ნუსხურით: „სულსა ელებრდის და დანჭანისა...“

VI კედი. 25×22,5; ეტრატი-პალიმფსესტი; ძველი სტრიქონები, IX—X ს. მრგვლოვანით დაწერილი, ცხადად ირჩევა; ახალი ტექსტი[ XV ს.] კუთხოვანი ნუსხურით, მკრთალი, გადასული (შავი მელნით).

„ღმერთო! აშენე, აკურთხე სახლი საყოფელი პირნათლის ბატონს დ[იდე]ბ[უ]ლსა პარნათლის [!]... დ[იდე]ბ[უ]ლსა მეუღლესა მის[ი]ა ნესტარ-ჴანს...“.

**შენიშვნა:** ამავე VI კედის v-ზე, შედარებით უკეთ ირჩევა ტექსტი:
„სულსა გ[ორგი] ელდანას შ̃ნ ღ̃ნ...
...ღმერთო! მიეცი დღე პარნ[ა]ხლის ბელდანსა:
ორი მატანა მოასონა სალოცველად[...
... ესე კრება შეგვ[ა]ჴრე ჯ̃ვ̃ა ჯოჭ-ხე[ო]...“

VII კედი. 12,5×23; ეტრატი-პალიმფსესტი; ძველი ტექსტი მრგვლოვანით: v-ზე, ბიბლიის ფრაგმენტი; ახალი—XV—XVI ს. მომცრო ნუსხურით, შავი მელნით:

„ღმერთო! აშენე, აკურთხე სახლი, საყოფელი ბურნაყის ბაბიანსა, ესე კრება შეგუყარა და ორი მატეანი მოასენა, სალოცველად მისსა შვილისა გამრავლებისათჳს, — ღმერთო! მიეც[ა!... და სამიათასისა შესწირა...“

VIII კედი. 10×23: ეტრატი-პალიმფსესტი, ორ ერთმანეთთან გაკვრით მჭიდროდ დაკავშირებულ ნაწილად; ძველი ტექსტი X ს. მრგვლოვანით; ახალი —[XV—XVI ს.] მსხვილი ნუსხურით:

„სულსა თამუზუყი უშუხიანისა...“

**შენიშვნა:** დაწერილია r-ზე, სამიოდე სტრიქონად.

IX კედი. 12×22; ეტრატი — პალიმფსესტი; ძველი ტექსტი — XI ს. თავისებური ნუსხურით (გარკვევით ირჩევა სათაური: „უდაბნოს დაცემისაჲსჲ“ —

„ოჯულისკანონის“ ფრაგმენტი?).ახალი ტექსტი — 10 სტრიქონი. დიდრონი ასოებით, გაუმართავი ნუსხური (წაიგავს წინა კეფის ხელს):

„ს[ულს]ა ამას ჩ[ა]რკ[ვია]ნს შ̃ნ ღ̃ნ...“

შენიშვნა: რიგი სტრიქონები დაწერილად წვრილად, ფურო გამართულად.

X კედი. 12×23; ტტრატი-პალიმფსესტი; ძველი ტექსტი X ს. შრეულვავით; ახალი — მსხვილი ნუსხური, წინა კედების წარწერების მსგავსი ხელით:

„ს̃ა თმ̃ბუყა უშახანას შ̃ნ ღ̃ნ...“
ს̃ა შათოი უხწანისა შ̃ნ ღ̃ნ...“

XI კედი. 8.5×20.5: ტტრატი-პალიმფსესტი: ძველი ტექსტი XI ს. წვრილი ნუსხური; ახალი — მსხვილი ნუსხური, ზოგან საკმარისად სწორი ასოებით:

„ს̃ა ვბითადს კ̃ოცანსა შ̃ნ ღ̃ნ.
ს̃ა მ̃ღდელსა ცოდეილსა დემეტრეს...“

XII კედი; 44×22: ტტრატი (ძველი ტექსტის კვალი არ ემჩნევა არც r-ზე და არც v-ზე; XVI—XVII ს. სწორი, გამართული, ნუსხური, r-ზე:

„ს̃ა ბახსარ ათარიანისა გამზდელსა მარგალიტაძსა შ̃.
—ჩკინისა და მეუღლესა მისა შ̃. ს̃ა გ̃ისა და მეუღლესა შ̃...“
...მისისა კაცისა, რომელმან შავი სამოსელი მოიღო, მიქელაძსა შ̃ე ღ̃ნ...“

შენიშვნა: 1. XII კედის r-ზე მოთავსებული მოსაწირწილეები თავდება: „ს[ულს]ა მიქაელ რუბაე[ი]ანისა შ̃ე ღ̃ნ... მეუღლესა მისა ნუნაძსა შ̃. და შვილთა მათთა ანგუთრას და სარგის შ̃ნ ღ̃ნ.

2. ამ ტექსტის ქვემოთ დარჩენილ ცარიელ ადგილზე, სხვა ხელით, მომსხო, ნაკლებად გამართული ნუსხურით, მოწერილია: „სფლსა ოქროპორია ბიცეცასა [!] ხვე[ფი]ა[სა შ̃ნ ღ̃ნ; მეუღლე [!] მისი ნათლი შ̃ნ ღ̃ნ“.

3. XII კედის r-ს მასალა მთლიანად გამოკვეყნებულია, იხ. პაველ ინგოროყვა. „სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეოთე. ტექსტები, თბ., 1941, გვ. 125—126.

საყურადღებოა, რომ პ. ინგოროყვას ხსენებულ გამოცემაში ეს მასალა მეტჩვენ კედის r-ზე დაწერილად არის აღნიშნული, რაც უნდა მოწმობდეს, რომ გამოცემულს ხელში სხვა საბუთი ჰქონია.

ამის მიხედვით სვანეთის კრების მატიანის ტექსტების ნაწილი მაინც გადმოწერილად [და ვამოაცლებულად?] უნდა ჩავთვალოთ.

ამ მოსაზრებას ადასტურებს სხვა ფაქტებიც (იხ. ქვემოთ).

4. XII კედის v-ზე დაწერილია ტექსტის ხელითა და მელნით:

„ს[ულს]ა შაღვა ხაფთანისა შ̃ნ ღ̃ნ.“
„ჩორძან ღშენაანისა...

ერთობაილნი კრებულნი შეგუაორნეს იოვანე ხარიტონიანმან. ს[ულს]ა მისა შე ღ̃ნ..“
თ ა ვ დ ა ბ ა: „კრებულნი შეუღაოა მიქაელ სულისა მისისათჳს. ს[ულს]ა მიქაელისა შე ღ̃ნ. ს[ულს]ა ჯიჯანა შე ღ̃ნ. სულსა ივანესა“. და აქვე, ქვემოთ, სხვა ხელითა და მელნით, გაუმართავად (ნუსხურით): „ს[ულს]ა მოდა[ნს, თორმეტიანს...“

5. XII კედის v-ზე მოთავსებული ეს მასალა პ. ინგოროყვას გამოკვეყნებული აქვს (ნაწილობრივ). გვ. 153—155.

XIII კედი. 69×22; ტტრატი (ძველი ტექსტი არ არის შეჩნეული); წინა (XII) კედის r-ს-ს ხელითა და მელნით (ზოგან იხმარება სინგური).

„ს[ულს]ა მეუღლესა მისა თინათისა შ̃ნ ღ̃ნ ... მეშქენს და მეუღ...ნავსა შინა მახდომარენი უბილიანნი წყალთა მოიძრწენს.

სულთა მათთა შ̃ნ ღ̃ნ.....
...ფაქიანისა — საბელი არ აწნდა...“

თავდება: „აქა, უფალნო, არიან აწინდა. მათ ყოთა შენდეგენ, უფალო-ღმერთო, ყოველნი ცოდვანი მათნი ღმესა მას დიდსა განკითხვისასა“.

**შენიშვნა:** 1. ქუემოთ, სხვა ხელით, მეტად გაუმართავი დიდრონი ნუსხური ასოებით მიწერილია რამდენიმე მოსახსენებელი.

2. XIII კუთს v-ზე, იმავე ხელითა და მელნით, რომლითაც r-ს ტექსტია დაწერილი: „ს[ულს]ა მამა ბაბთანია შენ ღ-ნ... ფროდი ეკლდიანისა...“ თავდება მოსახსენებლებით ეს ნაწილი: ძაძე წიფიანია და მისი მეუღლის ბორ[ენა] მოსახსენებელით: ქეციონი, ნ სტრაქონი გაუმართავი (ნუსხური) დაწერილი მოსახსენებლების შემდეგ, იწყება ამ კუთს r-v-ზე დაწერილი წინა ტექსტებივე ხელით, სინგურით ნაწერი სათაურით, მოსახსენებლების ჩამოყრით წყება:

„ვინცა ბერძულა ამა კრებასა მო ეგუება და სრულიად
შეჰვედროს, მათ ყოველთა შენ ღ-ნ. ს[ულს]ა როუსდან წიფიანისა...“

თავდება: „სულსა როუსდან გულელისა შე ღ-ნ, ს-ა ბევშაკი ან..“

— როუსდან ნეფისულიანისა... რატისა...
... ბეკანისა... ი-შე კვასდიანისა...“

3. ამის ქუემოთ, სხვა ხელით (გაუმართავი ნუსხურით) მიწერილია: „[სულსა] მიეპეულ დღვანოზანსა სოციასა შე ღ-ნ“.

4. „ბერის კრების“ 56 მოსახსენებელი ზედმიწევნით ემთხვევა ჰ. ინგოროყვას „სვანეთის სასტორიო ძეგლების“ (გვ. 152—153) ტექსტებს.

XIV კუთ. 41×21,5; ეტრატი (ძველი ტექსტი არ ჩრის შენარჩუნული); r-v-ს მოსახსენებლები დაწერილია წინა კუთების ხელითა და მელნით r-ზე:

„ს[ულს]ა თუთი რუბაგიანისა შ-ნ ღ-ნ.. მეუღლესა მისი თამთასა... გვანცისა... უჯგუშისა... მეუღლესა მისა ნათელისა... რუსუდანისა...“

„...ს[ულს]ა აწუნა გაბელდანისა შ-ნ, მადლო კრებისაო! სახელი მისი აკურთხე...“

**შენიშვნა:** 1. ხსენებული გამართული ხელით დაწერილი ნუსხა თავდება: „... ს[ულს]ა ტაოელ პოლიხრონიანისა... ინაბ მეგელიანისა... ოქალისა მისისა ნანჩისა... მარუშანი ჭარიდანისა შე ღ-ნ.“

2. კუემო 9 სტრიქონი უჭირავს ცხეკასხეი ხელით, უფრო მდარე ნუსხურით დაწერილ მოსახსენებლებს: ბოროგვან ხეცეგანისა, როსთდან მარეციხისა ...თ'ლხი ლოლანისა, [მისი მეუღლის] თამთასი [თამთას], გამრ[ე]ლ[ე]ლ[ა]ს, ჩორმან ათარი[ა]-ნისა, ნათოხისა და სხვ.

3. ხსენებული მინაწერების ქუემოთ იწყება (დასწყისი ასო — სინგურით) ისევ გამართული ხელით ნაწერი ტექსტი:

„ვინცა ლმას ამა კრებასა მოეგება...
მაკარი მანაშიანისა... მეუღლესა მისა გაგტდაჲა...“

თავდება: „ს[ულს]ა პაბუნი მახუკეანისა...
მეუღლესა მისა თეკლინდი გაგანიანისა შე ღ-ნ“.

4. ამ ნუსხის 16 მოსახსენებელი გამოქვეყნებულია ჰ. ინგოროყვას გამოცემაში „სვანეთის სასტორიო ძეგლები“, გვ. 129, სადაც დამატებით მოთავსებულია შვიდი მოსახსენებელი ლმას კრებისა.

5. ამავე XIV კუთს v-ზე მოთავსებულია r-ს ტექსტების ძირითადი (გამართული) ხელით ნაწერი მოსახსენებლების გრძელი წყება:

„ს[ულს]ა ი-წვსა შ-ნ ღ-ნ... მეუღლესა მისა [ინ]დოასა...“

თავდება: „ს[ულს]ა მრიამისა... აფაშელ გულუხანისა
... მეუღლესა მისა თამთას შ-ნ ღ-ნ“.

6. ამ ნუსხის ქებამთ, სხვა ზელითა და ზელნით (ნუსხურით) მიწერილია მცირედელა, ფრულად ამოსაკითხავი მოსასხებები: მა[ტ]ასი, თამ[აქრისა და სხვ.

7. ფურცლებული — XV კუნი არ არის ვამოყენებული მოსასხებლებისათვის; მისი ერთი მეოთხედი შემოწებებულია ბის „კიდაკუნ", რომელზედაც დაწერებულია გრა-ნილი; XV კუნი იმეთათი ხელოვნებით ნაკეთები ტეტრატის ნაშლილ 2 ფურცელს წარმოადგენს; თითოეული ფ. ზომა: 22,5×17; ტექსტი ფართელი ზელნით არის დაწერილი, XI ს. წერილი, სწორი, კუთხოვანი ნუსხურით. ტექსტის ნაწყვეტი:

„ეითარცა ღმერთმან ივნე ქაკათაოზს და მკედართა თანა შეირაცხე. ხოლო ალდგომამან შენ[ან სარწმუნო ყო დღეს წყ'ლ(ო)ს[ა შენი..." — მოწმობს, რომ XI ს. ხელნაწერი საკალიგრაფიო კოპეტის წარმოადგენდა.

შდრ. H კოლექციის № 2401-ს — მატიანეს ფუნქციის კრებისაგ, რომელიც გამოქვეყნებულია პ. ინგოროყვას „სვანეთის საისტორიო ძეგლებში" (ნაკვეთი მეორე — ტექსტები), თბ., 1941, გვ. 117—160.

შდრ. „ხელნაწერთა აღწერილობა" (კოლექცია H), ტ. V, თბ., 1949, № 2401, გვ. 276—277.

## 268

### სახარება — ოთხთავი. 1770

182 ფ.; 29,5×20; ქაღალდი (ჭერნიშანი: ყურძნის მტევანი ლათინურ A და A-ს შუა); ტეხილური ტყავით შემოსილი მფეთის ყდა; ხისდრული; ორ-ორ სვეტად; სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინჯურით; 1770 წ. (182r); გადამწერი: ანრისხატის დეკანოზის ალექსის ძე სოლომონ, კრძო დიაკონი (182r); ადგილი: ს. ბღლოური; შემკულობანი: 2r (ტეროდებით, შესრულებული თავკაზმულობა) 44r. — დონი ფურადებით, ორი ფრინველის მხატვრით; 150 v; შეძენილია არძენაკ ოყანოვისაგან 1934.

„სახარება მათეს თავი. ა. — წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. აბრაჰამ შუა ისაკ, ისაკ შუა იაკობ; იაკობ შუა იუდა და ძმანი მისნი..." 2r—150v.

შენიშვნა: 1. ცალკე თავებს წინ უძღვის:

ა. „შესხმა წმიდისა მახარებლისა მათესი სოფრონის მიერ თქმული" (1r).

ბ. „შესხმა სოფრონის მიერ წმიდისა მარკოს მახარებლისა" (42r).

გ. „მისვე (მარკოს) მახარებლისათვის შესხმა დოროთეს მიერ, წმიდისა მოწამისა და სინოყსელისა ეპისკოპოსისა ტარფელისა" (42v).

დ. შესხმა წმიდისა მახარებელისა [ლ]უკასი სოფრონის მიერ" (70r-v).

ე. „შესხმა წმიდისა მახარებელისა ლუკასი, რომელი დაწერა დოროთეოს" (70 v).

ვ. „შესხმა კვალად მახარებელისა იოანესი, თქმული დოროთეოს მოწამისა მიერ" (119r).

2. ოთხთავის ტექსტს დართული აქვს:

ა. ვრცელი „სიძეებული წმ. სახარებისა" (151r—169r).

ბ. „თვეთა მეტყუ(ლ)ებანი". (169v—180r).

გ. „სახარებანი წმიდათა მამათა ჩუენთა, ქართლისაა მნათობთა, ეთორმეტთა, ასურეთით ღ'თისა მიერ მოელინებულთანი და სხვათა" (180r—182r).

3. 182r-ზე, ანდერძის ზემოთ, სამ სტრიქონად, გადამწერის კალიგრაფიული ხელით ჩამოწერილია ქართული ანბანი, ასომთავრული, ხისდრული შესატყვისებითურთ ა — ჭ.

**ანდერძი** (გადამწერისა): „დიდება და შადლობა ღმერთსა, სრულმყოფსა ყოველისა კეთილისასა, რომლისა ძლით ვიმოშაკ ჩხაბა ამის წმიდისა სახარებისა, მე, ყოველად ფუღირსმან ანრისხატის დეკანოზის ალექსის ძემან სოლომონ კერძო დიაკონმან. გუკვდრები ითმოსკითხველთა წმიდისა ამის სახარებისათა, უკეთუ ცთომილი რაიმე იხილოთ, ნუ წწყვეთ, ღ'თისათვის, არამედ შენნდობელ მე-

ბრწინვით ცთომისათვის. ვითარცა ცასა ეჩრ იხილავთ, რომ არა აქუნდეს მცირედი ღრუბელი, ეგრეთვე ჩემ მიერ ნაშობი ეგრეთ არს. და შენდობასა ჰპოვებდეთ ჩემ ცოდვილისათვის. სრულ იქმნა **ბელოთისა** წელსა ჩღი, კ'ს ჟზ'ს, თთუსა სკჳდმბერს, ბ" (182r).

მანაწერებია: 182v-ზე — სოსპატრი ანბანი, ასოებად და მარცვლებად (ასწერილი?).

## 269

### მანანა. 1800

142 ფ.; 21,3×16,5; ქაღალდი, ცისფერი; ჰვირნიშანი 1799; 1—6 ფ. — დაწერილ-დაფურცლული; ხის ყდა, ტეტრტული ტყავით შემოსილი. ტყავის სამი წესარკვეთ: მხედრული: სათაურები სინჯურით; 1800 წ.-ს გადაწერილი: „იეროსიმანთა გენიალე, ნიკოლაოზ". 109r. შენიშნული ვახტანგ ბარათაშვილისაგან 1934 წ.

„ღ'თივ დიდებულთა წ'თათჳს შესხმანი, სულისა დამატკბობელნი, რომელსა ეწოდების მანანა. შესხმა ა. ღ'თივ ბრწყინვალისა და ყ'დ დიდებულისა დედოფლისა ჩ'ნისა ღ'ისშობელისა.—„აღსდეგ, უფალო, განსაჴ'ნებელად შენდა შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისა". ეჰა, ღ'ისა სიტკბობებისა საუნჯეო, შემოსილო გარეთ და შინათ არა ოქროჲთა, არამედ სულითა წ'თა, ღ'თივ ბრწყინვალეო მარიამ!

1. გიხაროდენ, პირველ საჭურუნეთა ღ'თისა მიერ განზრახულო..." 1r—141v.

**შენიშვნა:** 1. კრებული „მანანა" გ ა ბ რ ი ე ლ მ ე ი რ ი ს მიერ შედგენილია (იხ. ქ. ყაუხიძე, ჭარხული ლიტერატურის ისტორია, I, ვე 369, VII, თბ. 1941).

2. კრებულში შესულია შესხმანი: დვთისმშობლის, ქრისტესი, ჯვრის, პაჭელოსის, ნათლისმცემლის, მოციქულების, მოწამეების, მღვდელმოძღვართა და „ღირსთა მამათა" და „სარჩევი" (101r—102v).

3. „მანანას" დართული აქვს ა. „პარაკლისი წ'ისა ჭალწულ-მოწამისა ეკატერინესი" (103r—108r), ბ. ე ვ ა ნ ე ლ ი დ ი ო ნ. „თთუსა ჲგ'სტოსა ჲე—მიცვალება ყ'დ წ'ისა ღ'ისმშობელისა" (110r—141v).

4. კრებულის შემდგენლის ანდერძი — „პეშვედი" — იხ. 100v—101r-ზე. შდრ., ქ. ყაუხიძე, ქართ. ლიტ. ისტორ. I; ვე. 366, VII, თბ., 1941. „ჯუკუნის" „მეშვედი".

**ანდერძი** (დადამწერისა): „ეპისტოლე. — ღ'თივ სულიერსა ამას წყნესა ვიძლეგნი ესაკურნებელსა დაო ჩემო, კეთილმორწმუნეო ეკატერინაო!.. ყ'დ ღელისმან ბერმან უმორწმუნოსმან ძმამან, იეროზონახმან ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ო რ გ ი ა ნ ი ძ ემ ესეცა პარაკლისი (ეკატერინესი) შესძინე წიგნსა ამას, სიყვარულისათჳს შენისა, დაო სასურველო..."

$18\frac{5}{3}$ 00" (109r-v).

მანაწერებია: წიგნის წამკითხველთა შენიშვნები: „ენიგმა (!)" ე ლ ე ნ ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ის ასოებით და სხვ.

## 270

### სამკურნალო კრებული „იადიგარ დაუდ". XVII

I—II, 260 ფ.; 39×27; ქაღალდი; მუყაოს ყდა, ოდესღაც ტეიფრული ტყავით შემოსილი, ამჟამად დაშლილია. ყდის I ფრთის მეჯაო დაჩენტრტელია ჰპის ნაკვალევით და ყდის ამ ნაწილს ტყავი შემოძარცული აქვს, დაზიანებულია ხელნაწერის ფურცლებიც, განსაკუთრებით: I—II, 76, 120, 155, 187, 188, 189, 190, 231, 232, 237, 251; ლაქებიანი (199—207); ჩინებული მეტრულით; სათაურები სინჯურით; როსტომ მეფის დროს (1632—1658); ჰვირნიშანი — სამი ნახევარმთვარე. შემოსულია მუზეუმში 1934 წ.

„იადიგარ დაუდ". ა. პ ი რ ვ ე ლ ი წ ი ლ ი და კ ა რ ი, საქმისა საქმეებსა რომე გამცნებს და გიამბობს, ესე არის რომე, რასაცა საჭელსა

სჯამს, ყოელა კაცის მუცელსა და სტომაქშიგა დადნების და მოდუღებულსა ქერისა წყალსაითა გასქელდების..." 3r—260v.

**შენიშვნა:** ტექსტს წამძღვარებული აქვს დაუთხანის წინასიტყვაობა: „ჴ ნებითა და ბრძანებითა ღ[მრ]თისათა, კაცსა უჯუ, რეუნ, მეფეთ მეფისა ს[ა]ტრონისა ლუარსაბის ძე, საწყალი დაუთხან ჩუენსა საქმეზედა ისტამბულს სულთან მურად ჴელწოფეს[ა]თან მოვედით სასაქმოდ და აქა, ისტამბულს, ორასა წელთა წადსა ვიყავით; და ერთსა დღესა ერასა მეგობრისა და ფილოსოფოსისა კაცსა შემოეყარენით და თავის სახლშიგა მიმიყოფნა და მრავალი საქმითა და სამეცნიერო წიგნები ჰქონდა და გვიჩუენა. და რა სრული ისი წიგნები ვნახეთ და გეცოინეთ, მწოლეც მოგვიწდა და მოგეწონა და წინას კაცსა მცნებასა და მეცოდინარობასა გაგვკვირდით: თუ — ამა ყოელსა სენსა, ჭირსა და სატკიერსა ან როგორ მიბუდეს და ან გული როგორ გაალეს და ან ამთენსა სენსა და ჭირსა თავ-თავისა წამლები როგორ უკუნეს.

აწე ესე ჩუენცა ვიცოდით, რომე დღეს სჯრიასტიანობაშიგა ამისთანა და ამგუარი ქართული წიგნა საკმისი არ იყო და სჯრისტიანობაშიგა მრავალი ასეთი კაცი ვნახეთ, რომე უკეღარებითა და ფცოდნელობითა მოკუდა და დაზიანდა, რომე რაცა მათ კაცსუდა სენი და ჭირი ენახეთ და ან მის სენისაგან ისი კაცნი დაზიანდეს, მის სენისა და ჭირის წამალი ყოელა ადგილის საქმითა მათ წიგნებშიგა ეწერა. ენახეთ და წავიკითხეთ და ამ როგისა სენისა მეცნიერი წამალიცა ბევრი ენახეთ.

მერმე ჩუენ შეგიდეთ და შეეეკვეთეთ, ეითა — ესე ორი თათრული საკმითო წიგნები ქართულად გარდმოვათარგმანა - მეთქი. ამისთვის რომე თავად ესე დიდი მადლი არის, რომე კაცმან კაცი სარჯულისა და სიკეთეისაგან დაიხსნას და მოაბრუნოს: მერმე ჩემი თავი და გულისყური, ჩემი ჭკუა და მცოდნარობა დავსცადე, თუ — ამა ორისა თათრულისა წიგნისა ურთგან შეკრება და გარდმოთარგმანება შემიძლოსა თუ არა - მეთქი. და მეცა იმა სრულთა წიგნთაგან ორი ბრეზია და ფილოსოფოსთა კაცთაგან სრულისა იმა საქიმოსა წიგნებიდამან გამოკრებული და დაცდილი წიგნები გამოვარჩიეთ და ესე ორი წიგნი ორსა ბრეზესა და ფილოსოფოსთა კაცთაგან სჩეთა მრავალთა საქიმოსა წიგნებშიგა გამორჩეული და გამოკრებული ეყო და რაცა იმა მრავალთა საქიმოთა წიგნთაგან ან აქიმობა და ან წამლები მოსწონებოდა და ან მრავალჯერ დაეცადა, ყოელი იმა სხეთა წიგნთაგან გამოეღო და გამოეკრიბა და სრულად ამ ორსა წიგნშიგა დაეწერა. და ეროთს წიგნასთვის „ჭუნთა ხაბი შაჯა" დავრქმეუნეს, ეითაც — სრულსა საქიმოსა წიგნებიდამან გამოკრებული და გამორჩეული და ყოელსა სენსა მკურნალი და წამალია. და მეორისა წიგნისათუის „იადიგარ შაჰიფი" დავრქმეუნეს, ეითამცა — ჩემი სახე და ჩემი მოსაგონებელია.

აწე ჩუენცა ამა ორისა წიგნისა გარდმოღებასა და გარდმოთარგმანებასა შეეცადენით და ამა ორისა თათრულისა წიგნისაგან ერთი ქართული წიგნი გარდმოვათარგმანენით და ჩუენსა გარდმოთარგმანებულსა წიგნსა ჩუენცა სახელად იადიგარ დაუდი დავარქუით, ეითამცა „ჩემი სახე და ჩემი მოსაგონებელი".

აწე ჩუენცა დ[ა]თესაგან ესე ვითხოვეთ, და ესე ვიაჯეთ, რომე ამდენი ჭკუა და გონება, სწავლა და გულისყური მიბძოე და ამდენი ძალი და გაძლება მამეც-მეთქი, რომე ესე ორი წიგნი ერთად შემოჭკრებოდ და ორთაუე თაეი ერთად შემოფარო და ნებისაებრივე ვათარგმნო და მართლად და ურცხვად გარდმოვიღო-მეთქი, რომე თუ კაცი ასეთსა ავდგესს ავად გაქდეს, რომე იქა აქიმი და შემტყობი კაცი არ იყოს და განგებითა შენითა მის კაცისა დღეში არ აღსრულებულიყოს, ძალითა და შეწუენითა შენითა ამა წამლებითა მორჩეს და მრავალთა ხანთა და ჟამთა გაქნებდეს და გადიდებდეს შენ ტკბილსა და მრავალმოწყალესა ღმერთსა ჩუენსა იესუ ქრისტესსა.

აწე მან უწყოს, რომელსაც არცა ცხადი დაებადების და არცა იდუმალი, რომე ამა წიგნისა დაწერასა და გარდმოთარგმანებაშიგა მრავალი და მრავლისაგან უფროსი ჭირნი და სარჯულნი ენახეთ და მრავალსა ალაჯსა დავღონდით და მწუხედ გადგიწელდა და მრავალი საჭირო და საძნელო სატყუენი და საქმენი გარდმოვათარგმანეთ.

ბოლო ისმინეს ღმერთმან აჯა და მოხსენება ჩემი და მოაკუეა ამდენი ძალი და შეძლება, ჭკუა და გონება, რომე რაცა იმა ორსა თათრულსა წიგნშიგა თათრულად

ეწერა: ან მრავალფერისა სენებისა მიზეზი ან ნიშნები და აღამიანები, ან მაჯუნებისა და შარბათების შექმნა ან ტლანქისა და ლოპავების გაკეთება და ან მრავალფერისა სენებისა წამალები, ყველა მართლად კარგად და გაჩენით გარდმოვსწერეთ და გარდმოვათარგმნეთ და ყველა ქართულად ამა წიგნშივე დავსწერეთ და ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა ადვილად გარდაუწყუტებეთ და იმა მრავალფერისა სენსა და სატკივარსა რომე ძვსა კაცისასა არ ასცილდების, ყველასა თავი ერთგან შეჰყარეთ? (აქ აკლია — ერთი ფურცელი — 1 და 2 ფ. შეა).

...სამეფონი ურცხეთი და მართლად გარდმოვიქცა და გარდავთარგმანეთ და ნებისაებრივ გავათავეთ და ამას მიეხუედ და შეიტყო თუ კაცი რომელსა ხალთისა და ან რიდლისა სენისაგან და ჰირისაგან გაეცინის ავად და ან რა და რომელი სენი და ჰირი რომელსა ხილთისაგან და ან რომელისა მიჭირვებისაგან დაიბადების, ან იმა ხილთაებისა და სენების ნიშნები და აღამიები რა და რომელი არის, ან მისი წამლები და ქელის შეწყობა როგორ უნდა.

აწე ერთი საკვირველ მეზთასარი, ეითამცა და ცოტა და კარგი წიგნი გარდმოვიღო და ყოველისა საქმეთისა წიგნებიდამცან გამოეუტები და გამოკრებული და ან რაც ბრძენთა და ფილასოფოსთა კაცთაგან ნაქმარი და ან ნათქუამი სიტყუანი და ან საქმეები და ან მე ცოდველსა და ულირსსა მამეცონოს და გამოქელოს და ან მრავალჯერ დამეცადოს, ყველა ამა წიგნშივან დავსწერო და ისი სენი და ჰირი რომე ძვსა კაცისასა არა ასცილდების, მის ყოველისა ფერისა ჰირისა და სატკივრისა მიზეზები, ნიშნები და აღამიები და მათ მათი შესადგილი წამლები მართლად შეეცადუთო და გარდმოვთქუა და ყველა ამა წიგნშივან მართლად და უმტყუენოდ დავსწერო. ამისთანა რომე, თუ კაცი ასეთსა ალაჯსა ავად გაჯდეს, რომე იქი აქიდი და შემტყობი კაცი არა იყოს, ესე წიგნი დაიფენ წინა და ამა წიგნითა უკეთმან და რარაგადეკი ამა წიგნშივან ეწერას, ან მრავალჯერისა სენებისა ნიშნები და აღამიები ან თვითვესა სენისა შესადგილი წამლები და ქელის შეწყობა და მაჯუნებისა და შარბათებისა გაკეთებისა და ან ძალმებისა და ტლეწების გაკეთება, ან მაჯისა და ელენჯრის შეტყობა, ან შარდისა და ცარცისა შეტყობა, ან სისხლისა და ან სანრისა, ან ბალღისა და ან სქელის სენების ნიშნები და მათ-მათი შესადგილი წამლები და შეტყობა სწერია, ყველა ისრე ქნან. და ვინცა ამა წიგნსა მიჰკედეს და გაეგონოს, ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა, ჭკუათუ კაცსა ყველის ნება აუსრულდების და ავადმყოფსა მკურნალი ჰკურნებს, ძალითა და შეწევნითა მისითა.

აწე, ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა, ჩუენცა ყოველსა ფერსა სენსა და სატკივარსა მიეხედით და შეეტყუენ თუ რა და რომელი სენი რომელსა ძარღვისაგან იქნების და დაიბადების; ან სიცხისა და ან სიკრიესისაგან რომე კაცი ავად გაქვდს, იმის როგორ უნდა შეტყობა, ან იმა ოთხისა ხილთისა ნიშნები რომელი არის, ან ამა ხილთაებისა წამეცონა და ქელის შეწყობა როგორ უნდა, ყველა მართლად და გარნენით დამიწერია და ოთხმოცსა გუარსა სენსა ყუელასა თავი ერთად შეჰყუარე და ყველა ერთად შემოვქრიბე და ამა ოთხმოცისაც სენისა ნიშნები და აღამიები, წამლები და ქელის შეწყობა ყველა ამა წიგნშივან გარნენით და მართლად დავსწერეთ და ღეითისა გვაოს სენზედა თეითო კარი გიმართეთ და ყოველსა სენსა და სატკივარსა ფარ-თავეისო მიზეზები და ნიშნები და წამლები და ყველა გიჩენით დაწერეთ; ამისთვის ოთმე, რომელისაც სენისა და სატკივარისა პოვნა გინდოდეს, ყველა სენი და ჰირი თვე-თავის კარსა და ჯურჯაშიან ნუდა მოხანოთ და იმა მრავალფეროვანისა სენებისა ნიშნებსა და წამლებსა ყველასა იქი ისპოვნი.

აწე, ვინცა ესე წიგნი ნახოთ და ჴაიკითხოთ, ყოველი საკჳმეზი საქმენი ისწავლოთ და ვაიაღვილოთ: წამლები და ლეობები, მაჯასები და ტლეები — ყველა ისწავლოთ და კარგად ჰქნათ. აწე ესე აჭიმობა და მრავალფერი წამლები ამისთვის არის მოყორენები — ზოგი საჭიროცა და ზოგი სამწუროცაო, რომე, თუ კაცსა დღენი არ მოსლოდეს და ან განჴებითა ღთისათა მის კაცისა დღენი არ აღსრულებულ იყუნენ, კაცი მწოდე არ გაიაკუნოს, თვრამდა, რა ბძანება და განჴება ღ'თისა იქნების და ან კაცსა სიკუდილისა დღენი მოფუღენ, ტანი კლდე იყოს, ისიც ცვილად გარდაიქცევის და ნელი გაკმენის, არამთუ ბრძანებასა და განჴებასა ღ'თისასა კაცი მოეწრიტს და ან ჴუანგებოდ წამალმან კაცი მოარჩინოს.

აწე, ვისცა ამა წიგნითა და ამა წამლებითა ჴეჭიმოთ, და ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა, ამა წამლებისა მიზეზითა იგი კაცი მოარჩინ და ჴლხინოს, შ ე, ც ო დ ვ ი ლ ი ს ა

და უდირსსა დაუთხანს ნუ დაგუეყენებთ. ვინცა შენდობა მიბძანოთ, ღმერთმან თქუენცა შეგიწყნაროს თქუენი ცოდვანი და ამა ცხანოსა სოფელსაცა უჭირველად გაგათოფოს და გადღეურძღულოს და შუგაროს და თქუენნიდა ანდაც ქნას სარულები და პირნაბულნი ჩენნი.

აწ ესე წიგნი სამად გავქაცეით და სამ წილად ვჰქენით და გაეანიეთ: პირველი ქარი ორი ბაბი არის და ესე პირველი ქარი საჭიმოსა საქმე[ე]ბსა გამცემებს და გიანბობს.

მეორე ქარი — საქმლებსა, მოკუნებსა და შრობათებსა გამცემებს და გიანბობს.

მესამე ქარი და წილი ყოელისფერისა სენებისა და სატკივრისა მიხუხებსა, ნიშებისა და წამლებსა გამცემებს და გიამბობს". (1r—3r).

**შენიშვნა:** 1. ხელნაწერი „იადიგარ დაუდის" A ნუსხას წარმოადგენს; იგი დაწერილებით აწერილი აქვს ლ. კოტეტიშვილს, ტექსტისა და გვერდების რეპროდუქციების დართვით. იხ. ლ. კოტეტიშვილი. „იადიგარ დაუდი", თბ., 1938.

2. ხელნაწერის ყოველი გვერდის ტექსტი მოთავსებულია საგანგებოდ ფერადებით დახაზულ ჩარჩოში.

3. ნაპირებზე მრავალ ადგილას ვხედავთ მინაწერებს ტექსტის ხელით: 52r, 64r, 66v, 93r, 94r-v, 95r-v და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა 52r-ს შარჯვენა კიდის მინაწერი: „არაბულად: აბათელ: ხიზრა: და: ბან: სპარსულად — ირიც ჩალ[ხ]ყუშია ჰქვიან". საყურადღებო მინაწერებია აგრეთვე დედნის ნაკლულოვანების შესახებ (122r, 161r-v, 246r და სხვ.). დედნის ნაკლულოვანების მოწმობის მრავალ ადგილას დაუწერიათ დატოვებული სტრიქონები, დანარჩენი მინაწერების 90 პროცენტი საწყენარაოდ დარჯებებს წარმოადგენს.

4. სამეფონაო დარიგებანი მიწერილია აგრეთვე II დურელის ორივე გვერდზე (ეს ფ. მეტად დახაზებულია, ტექსტითურთ).

5. 1r-v-ზე მოთავსებულია XVIII საუკუნის ხელით შედგენილი სარჩევი.

6. ხელნაწერს თარიღი არ გააჩნია.

დაუთხანის ანდერძის დასაწყისში შეცდომით არის აღნაშნული უბ ქრონიკონი, როგორც თარგმნის თარიღი.

დაახლოებითი დათარიღება ხერხდება XVII საუკუნის I ნახევრისათვის მეტად დამახასიათებელი მწერრულის მიხედვით და, კიდევ უფრო ზედმიწევნით, როსტომ მეფის მოხსენიების წყალობით შემდეგ მინაწერში:

„აწე ამა მალამებისა ამ დედას წიგნშიჯა ვერცა თავისა და ვერცა ბოლოსა ვერ შეეტაევე, თუ სხვა სად ეწერა. სამი ფურცელი ცუდად ეგდებოდა და, რაცა იმაშიგა ეწერა. უკლებებისათვის აქ დავსწერეთ.

როსტომ მეფის ბედნიერობითა, ქალაღი ბევრი იყო და სხვის არას დაეხარდით და აქ დავსწერეთ და რაცა აკლდეს, თუ სხვაგან იპოვნოთ, თქუენ ჩაუმატეთ, ალაჰი აჯსენ".

(259r, მარჯვენა ნაპირზე, ასწერია).

7. ხელნაწერში ჩადებულია ერთი გარეშე ფურცელი, რუსულად დაწერილი ნუსხა ქეენი და ზეინ ნაჰბისის ზოგიერთი ასტროლებისა, რომელთაც საერთო ჯამით გადაუხდიათ 80 მან. და 39 კ. (რისთვის? ეის სასარგებლოდ? — არ ჩანს).

8. IIv-ს ქვემო ნაპირზე მოთავსებული მინაწერის (ტექსტის ხელით) მიხედვით (კ. არის ამ წიგნის რეცეპტების ოცდაოთხმეტი) ფურცლების რაოდენობა 288 უნდა ყოფილიყო (ხელნაწერში ლზ—37 რეცეპტია!). სინამდვილეში კი I—II, 260 (-262) ფ. არის.

დაკარგულია: ა რეცეპტის 1 ფ.; ბ — 2 ფ.; გ — 2 ფ.; ია — 1 ფ.; იგ — 2 ფ.; კგ — 1 ფ.; კე — 6 ფ.; კვ რეცეპტი სრულებით არ არის; კთ — 3ფ.; ლ — 2 ფ.; ლბ — 1 ფ.; ლვ — 2 ფ.; ლზ — 5 ფ.

9. იხ. ამავე ტომში აწერილი სამეურნეო კრებულები, № 245 და 281, რომლებშიაც შესულია დაუთხანის „იადიგარის" 30 კარი.

## 271

### რიგის სახარება. XVI

380 ფ.; 18,3×13,3; ქაღალდი (შეტად დაზიანებული, დაობებული, ლაქებით დაფარული ფ. ფ.: 1—7 ფ. ფ. მოცილებულია; ფურცლების შემოცეთილი ადგილები, უმეტესად არის რესტავრირებული; ტექსტური ტყეკაცი შემოსილი ხის ყდა თაიმების მოცილებულია; ნოსტრები: სათაურები — წარონჯისფერი მელნით; XVI ს.: ჭადაშწერი: ნავერატიონი [ციმაში]. თავსამშვენისა ფურცლებით შესრულებული: 1r. ჩაშიტაბილია ცაგერის ეკლესიიდან გ. ბოკორიძის მიერ, 1934.

„წ~დასაჲ და დიდებულსაჲ კ~ესა აღსებისასაჲ, სამრად — სახარებაჲ ე~ლი თაი პირველი. — პარველითაგან იყო სიტყ~ჲ და სიტყ~ჲ იგი იყო ღ~ი თ~ა და ღმერთი იყო სიტყ~ჲ იგი..." 1r—320r.

შენიშვნა: 1. რიგის სახარება იწყება აღდგომის („აღესების") კვირის სახარების საკითხვით და თავდება შემდგომი აღდგომის საკითხვებით: „სახარებანი აღდგომისანი სრულ ყოფილნი, ათორთმეტნი" (308v—330r).

2. დართული აქვს თვითა მიხედვით განლაგებული ნუსხა სახარების საკითხვებისა, პირველი სქემებრივად 31 ავეიტომდის: „თქუმ: სეფდენბერსაჲ ა — დაწერებაჲ ინდიკტიონისა და კისნება წ~ისა სქმონ მეცნიერისა და წ~ი ორმოცთა დიდთა დასრ. ძისა ნათესა. სახარებაჲ ლუკა თავი. იზ. — მას ჟამსა შინა მოვიდა იესუ..." (320v—380v).

3. ტექსტის დასაწყისში, თავსამშვენების ქვეშ, ნარინჯის ფერი მელნით: „ღ მ ერთ~ს! ა დ იდე კ ი ს ტ ე ფ ორ~" (1r).

სათაურის ბოლოს, იმავე ნარინჯისფერი მელნით: „კ რ ი ს ტ~! წ არ ჰ მ ა რ თ ე წ ე რ ა!"

ანდერძი (ჭადაშწერისა): I. „ღმერთო ტკბილო და სახარებაო, პირო და პრძანებაო სახიერისა ღმრთისაო, მოწყალეო და ბუნებაისა სულისა ცოდვილისაო! მე, ცოდვილთა უკუდავეულეს საწყალობელი, საბრალო, დაღონებული, გლახაკი, ობოლი და ღარიბი, უსასულო, უსახლკარო (ნავრატიონს) ვეედრები, ნუღარ მიხაზავ მტერთა ჯუღისასა, ნუცა ჯორეიფილისაც და ნუცა უკრაცისაც. არამედ მტერთა ჩემთა თვალი დაუფენე და ყური დაუგენე დღეს დაუღიე და ამისა მწერალსა ნავერატიონს ცოდვა შეენდე და მფარველ ეგნენ აქა და საუკუნესა, ორთავე ცხორებათა და იქსენ ბოროტთაგან და კაცთა მოსისხლეთაგან და ნუღარ უხაზ მტერთა ჯუღისასა, მოწყალებისა, დიდებისა და ყუეცისა შენისა მადლისა. ამინ. .." (320r-v, რიგითი სახარების ტექსტის ბოლოს).

II. უფალო ტკბილო, სახიერო და [მადლო] სახარებისაო და პრძნობისა მის სახისა ბატო [ო]ჭვისაო! მე, ამ სახარებისა მწერალსა, მამაოებსა და [მადიდებელსა სახელისა შენისასა, ყოფილთა ცოდვილთა უცოდველისა და საწყალობელსა ნავრატიონს, აჴა, ამ ორთა დღეთა სოფლისა საწუთროისა ფიფქრმუქლობათა და სიამონე მამოიდე და მოჴ საუკუნოსა მართალთა თანა აღმრაცე და ნუ მიხაზ მტერთა ჯუღისასა" (380v).

III. კრიპტოგრაფიულად (წაშლილ სტრიქონებზე), წერილად:

„ოღ ე~ბ: ქ~ტ: ნტ~ი: ბ~წ: ტრ~ჩჩ: რღხრჩკჩ დიდსა მას დღესა განკითხვისასა, უფალო" (380v. ანდერძის ქვეშ).

შენიშვნები: 23r ქვემო ნაპირზე; 1r, 30v—31r, 144r, 148v—149r, 273r, 304r, 309r.

## 272

### კურთხევანი. XVIII

98 ფ.; 21×16; ქაღალდი; ნაკლული: (შეტად ხუჭყიანი, ლაქებიანი. 1—21, 85—88; ამოვარდნილია — 29 ფ.); ტექსტული ტაეპით შემოსილი ხის ყდა, გადაღებულ-გაცვეთილი; ნუსხური (დიდი ნაწილი სინგურით არის ნაწერი); 92—98 ფფ. — ვახტანგის სტამბის 1713 წლის „კურთხევანის“ ფურცლებია; XVIII ს. ჩამოტანილია ცაცერის უკლესიიდან ვ. ბოჭორიძის მიერ, 1934.

„კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი, ძალითა ღ-ისათა ახლად თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კვირიანე სამთავნელისა მიერ. ღ-ცაჲ დედაკაცსა ზედა მშობიარესა პირველსა დღესა უ-ჲ მიერ. — მეუფეო, უფალო ყოველსა მპყრობელო, რომელთან განკურნენ ყოველნი სენნი და უძლურებანი კაცთანი...“ 1r—91v.

წ ყ ო ბ ა: ყანისა, ვენახისა და ბოსტნის მავნებელთაგან დაცვის წესზე, ერთ-ერთი ლოცვის ტექსტით: „და არა ხოლო ესე, არამედ მეცა თავადმან ფიცით შევკრენ იგინი, რა არღარა შეუძლონ მოსლვად ადგილთა მათ მეედრებელთა ჩემთასა და უკეთუმა ადგილსა განვეადენ იგინი. ხოლო ფიცი იგი ესე არს: „გეფიცები შენ, წმიდა...“

**შენიშვნა:** „კურთხევანის“ ტექსტი გადმოწერილია ვახტანგის სტამბის ნაბეჭდი გამოცემიდან (ტფ., 1713). კ ვ ი რ ი ა ნ ე სამთავნელის ამ თარგმანის ანტონ I-ლის ბრძანებით გასწორებული ტექსტის დაბეჭდვამდის (ტფ., 1764).

## 273

### მეტაფრასი. XVIII

382 გვ.; 29,5×21; ქაღალდი; ტექსტურად ტაეპით შემოსილი ხის ყდა, შიგნიდან შეწუმოსვი; ნუსხური; სათაურები სინგურით; XVIII ს.; ჰვირნიშნი: მკრთალად გამოხატული სამი ნახევარმთვარე; პრემიტიული თავკვშმლობა და მოხატული ინიციალები. ჩამოტანილია ცაცერიდან ვ. ბოჭორიძის მიერ, 1934 წ.

1. „თ[ვეს]ე სეკნებერსა [!] ი საკითხავი, თქუეულ წ-ისა და ნეტარისა მამისა ჩ-ნისა თ[ეოდორე] აღმსარებელისა, სტოდეელთა წინამძღვრისა. შობისათჳს ყოველად წმიდისა ღედოფლისა ჩ-ნისა ღ-ისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისა. მამაო, ევაკურთხენ! — ბრწყინვალედ დღესასწაულობს დღეს ესე დ-ლი...“ გვ. 1—7.

**შენიშვნა:** 1. შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 619, § 3.

2. კვლობთ, ხელნაწერის დანარჩენი მასალის აღწერისას, მივუთითებთ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ იმავე I ტ. II გამოცემის (1941 წ.) მხოლოდ ცვლილებასა და პარაგრაფს.

3. ტექსტში ხაზგასმით სტრიქონი (ალბათ, დედნის ნაკლულობის გამო) დაუწერელია (2—3 გვ.).

2. „თ[ვეს]ე სეკ ე ნ ბ ე რ ს ა იდ წ-თა შორის მამისა ჩ-ნისა ა ნ დ რ ი ა მთავარეპისკოპოსისა. სიტყუა ყოველად მსოფლიოსათჳს ამაღლებისა

პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯუარისა. მამაო, გკ'ხნ! — ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ..." გვ. 7—12.

შდრ. კ. კეკელიძე, 576, §. 15, 2, ა.

3. ანდრია იერუსალიმელი. „მისვე — ცხოველს-მყოფელისა ჯუარისათჳს სიტყუა მეორე. მამაო, გვაკურთხენ. — აღვძრნეთ დღეს, საყუარელნო, ბაგენი ჩ'ნი სახედ ბობრნისა..." გვ. 12—15

შდრ. კ. კეკელიძე, 576, §. 15, 2, ბ.

4. „თ[ქვე]ს ოკნობრსა [!] კგ. წამება წ'ისა და დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი. მამაო, გვაკურთხენ. — მას ჟამსა შინა უსჯულოსმან მეფემან მაქსიმიანე დაიმორჩილნა გ'ლნი და სავრომატნი და მოჴდა თესალონიკეთა ქალაქსა და მუნ იყოფებოდა..." გვ. 15—19.

5. „თ[ქვე]ს ნოენბერსა კჱ. საკითხავი, თქმული წ'ისა და ნეტარისა მამისა გრიგოლი ნიკომიდიელისა, რიტორისა, ტაძრად მიყუანებისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩ'ნისა ღ'ისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. — მამაო, გვაკურთხენ. — ბრწყინვალე არს მიზეზი ამის კრებისა, რომლისა მიერ მიუწდომელისა მის ნათლისა მიმართ აღიწევიან..." გვ. 19—26.

შდრ. კ. კეკელიძე, 585, § 33, 2.

6. „თ[ქვე]ს ნოენბერსა ლ. მიმოდასვლა მოციქულთა, ოდეს იგი წარავლინა უფალმან მოციქული ანდრია სოფელსა მას კაცის მჭამელისა გამოყუანებად მათგან საჳრომბილით. მამაო, გვაკურთხენ. — მათ ჟამთა ოდენ იყუნეს მოციქულნი ყოველნი ერთად შეკრებულ და განყოფოდეს თჳთოეულად თავიან მათისა სოფლებსა ყოველსა..." გვ. 26—38.

შდრ. კ. კეკელიძე, 679. ანდრია მოციქული. 3.

7. „თ[ქვე]ს დეკენბერსა დ. წამება წ'ისა ბარბარესი. მამაო, გვაკურთხენ. — იყო მათ ჟამთა მეფე ვანშე, რომელსა სახელი ერქუა მაქსიმიანოს... გვ. 38—45.

შდრ. კ. კეკელიძე, 681. ბარბარა.

8. „თ[ქვე]ს დეკენბერსა [!] ვ. ცხოვრება და მოქალაქობაჲ წ'ისა და საკჳრველთ-მოქმედისა მამისა ჩ'ნისა ნიკოლაოზ მთავარეპისკოპოზისა მირონ ქალაქისაჲ, რომელ არს ქ'ყანასა ლუკიისსა. მამაო, გვაკურთხენ. — ცხორებანი და მოქალაქობანი ღმერთშემოსილთა და წმიდათა მამათანი მსგავს არიან მაგალითსა მხატჳართასა..." გვ. 45—62.

შდრ. კ. კეკელიძე, 693,2.

9. „თ[ქვე]ს დეკენბერსაჲ [!] თ. საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისაჲ მამისა ჩ'ნისა ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსისაჲ. მუცლად ღებისათჳს ანნასა, რაჟამს ეხარა ზოსაჲ წმიდისა ღ'ისმშობელისაჲ. მამაო, გვაკურთხენ. — რაჲ არს საიდუმლო ესე ახალი და დიდებული: ღ'ისაჲ ქუეყანად გარდამოსულაჲ..." გვ. 62—68.

შდრ. კ. კეკელიძე, 608, 9.

10. „სწველა სიყვარულისათჳს წინა კჳრიაკესა ქრისტეს შობისასა. საკითხავი მარგალიტისაგან, რომელი იკითხების მამათმთავართათჳს. მამაო, გვაკურთხენ. — არა რაჲ არს სათნოებათა შორის უჴუნველს სიყვარულისა...“ გვ. 68—71.

11. „თ[ვესი]ა დეკნებერსაჲ [!] კ. თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ[ენისა] ი[ო]ვანე ოქროპირისა. შესწსა და ქებაჲ ნეტარისა ფილოლონესი, ანტიოქელ მთავარ-ეპისკოპოზისაჲ, ვითარმედ ყოველთათჳს ჴორცთა სწორი არა რაჲ არს ღ[მრ]თისაჲ სათნოყოფად და ვითარმედ განუკრძალველად მიახლება წ[მ]ა საიდუმლოთა სასჯელისაჲ დიდისა მომტყუებელ არა, დაღათუ ერთგზის ხოლო ვინმე ეზიარებოდის წელიწადსა. ხოლო აღმოთ[ქ]ჳ უჴნარეს ქრისტეს შობისა პირველ ხუთისა დღისა. და იკითხების დეკნებერსა [!] კ. მამაო, გვაკურთხენ. — მე უკუე განვზადებულ ვიყავ სწ[ა]ვლებელთა ღ[მრ]თისა მიმართ წყობად...“ გვ. 71—73.

შდრ. კ. კეკელიძე, 640, V, 106.

12. „თ[ვესი]ა დეკნებერსა [!] კდ. წინადღით ქრისტეს შობისა საკითხავი, თქმული წ[მ]ისა და ნეტარისა მამისა ჩ[ენისა] ათანასი ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოზისა. სიტყუაჲ აღწერისათჳს ყოველდღიდისა ქალწულისაჲ და ღ[მრ]თისმშობლისა მარიამისაჲ და იოსებისათჳს, რომელმან მიი[ა]ხუაჲ იგი. მამაო, გვაკურთხენ. — ვითარცა მუშაკნი იგი. რომელნი აღმოკუსდიან მიწისაჲ გამოსაღნობელსა ოქროსსაჲ... გვ. 73—80.

შდრ. კ. კეკელიძე, 572, [§ 3], 15.

13. „თ[ვესი]ა დეკნებერსა [!] კე. უწყებათაგან პირველთა დიდთა გამოწველილითა მწერებრით ნეტარისაგან ი[ო]ანესი და მონაზონისა დამასკელისა. სიტყუაჲ ყ[ო] ქებულისა ბუნებისათჳს უფლისაჲ ჩ[ენისა] იესუ ქრისტესსა. მამაო, გვაკურთხენ. — რაჟამს ხაფხული მოიწიოს, ყოველსა სოფლისა ნივთი კ[ნ]ულ[ო]დ განსაცდელად მოიქცეიან... გვ. 80—89.

შდრ. კ. კეკელიძე, 628, 7.

14. „თ[ვესი]ა იანვარსა ა. გრიგოლის, ღ[მრ]თისმეტყუ[ე]ლისა ეპისტაფიად ბასილისა სტიხონი აროიკონი პარაფრასენი ნიკიტა ფილოსოფოსისანი. მამაო, გვაკურთხენ! — ეჰა, ქრისტეს მოყუარეო და მსახურო და მონაო მისო ერთგულო, ბასილი...“ გვ. 89—91.

შდრ. კ. კეკელიძე, 598: 57.

15. „თ[ვესი]ა იანვარსა, ვ. წმიდათა შორის მამისა ჩ[ენისა] გრიგოლი ღ[მრ]თისმეტყუ[ე]ლისა სიტყუაჲ ნათლისათჳს. მამაო, გვაკურთხენ. — კ[ა]ლად იესუ, [მაცხოვარი] ჩემი და კ[ა]ლად საიდუმლოჲ, საიდუმლო არა საცოურეანი...“ გვ. 91—99.

შდრ. კ. კეკელიძე, 593 „ნათლისღებისათჳს“...“

16. „თ[ვესი]ა იანვარსა კე. წ[მ]ა შორის მამისა ჩ[ენისა] გრიგოლი ღ[მრ]თის მეტყუ[ე]ლისა. ასერგასისთა მიმართ ებისკოპოზთაჲ სიტყ[უ]აჲ ჴმნისა. მამაო, გვაკურთხენ. — ვითარ თქუენ და ჩუენბანო [!], ოი საყუარელნო მწყემსნო და თანამწყემსნო...“ გვ. 99—111.

შდრ. კ. კეკელიძე, 599: 31, ეფრემ მცირის თარგმანი.

17. „თ[ვესა ფებერვალსა ბ. საკითხავი, თქმული წ-სა და ნეტარისა მამის ჩ-ნისა ა მ ფ ი ლ ო ქ ე ს ი, ი ო ნ ი ე ლ ი ს ა. მიგებებისათჳს უფლისაჲ ჩ-ნისა იესუ ქრისტესსა. მამაო, გვაკურთხენ. — მრავალნი დიდთა მათ სახელოვანთა კაცთაგანნი საკჳრველ ჰყუნან ქალწულებასა და არსცა ჴეშმარიტად საკჳრველ... გვ. 111—116.

შდრ. კ. კეკელიძე, 574:2.

18. „თ[ვესა ფებერვალსა ი ზ. წამება წ-სა მოწამისა თ ე ო დ ო რ ე ს ი ს. მამაო, გვაკურთხენ. — ტკბილ არს და საწადელ ჴსენება მოწამეთაჲ და საცხე საღთოთა მადლითაჲ...“ გვ. 116—122.

19. „თ[ვესა ფებერვალსა კ ზ. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ-ნისა თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ს ი ს ა, ს ტ ო ლ ი ე ლ თა წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი ს ა ს ი ტ ყ ჳ ს ა შ ე ს ხ ჳ მ ი ს ა პ ო ვ ნ ი ს ა პ ა ტ ი ო ს ნ ი ს ი ს ა თავისაჲ წინამორბედისა და ნათლისცემელისა ი ო ა ნ ე ს ი ს. მამაო, გვაკურთხენ. — მესამე არს წოდება ესე, რომელი მოაჭუს ჩ-ნდა ჴსენებისათჳს წინამორბედისა დღეინდელსა ამას დღესა...“ გვ. 123—126.

შდრ. კ. კეკელიძე, 619: 2.

20. თ-სა მარტსა თ. „წამება წ-თა ო რ მ ე ო ც ა ა ს ე ვ ა ს ტ ი ა ს წ ა მ ე ბ უ ლ თ ა ჲ, რომელთა სახელები ესე არს. გვაკურთხენ, მამაო. — დომენტიანოს, ვალენტი, ეულოის, ფლაბოს... გვ. 126—130.

21. „ხორობა დიდებული და საკჳრველი ძუძლთა მათ წიგნთაგან საუწყებელთაჲ, ჴსენება სასწაულისა მის ყოვლადდიდებულისა და ბრწყინვალისა, რაჟამს იგი სპარსთა და ბარბაროზთა სანეფრო ესე ქალაქი მოაცუმს ბრძოლად, ხოლო საღთოთა სასწაულითა წარიწყმიდნენ იგინი სიბნელედ მეყსა შინა და ქალაქი ესე დაცულ იქმნა შეურყეველად. მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღთისმშობლისათაჲ. მიეროთგან განეწესნა წლითი-წლად დღე ესე წინა შაბათი ხარებისა ვედრებითა, სამადლობელად, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების. გჳხნ მამაო, უფალო იესუ ქრისტე. ღმერთო ჩვენო. — მრავალნი უკუე და უაღრეს მთხრობისა მადლნი და საკჳრ[ვე]ლებანი, მსგავსად მამათაჲ მოცემულისა მის წესისაჲ...“ 131—147.

შენიშვნა: 1. ჩვო ნაპარუ (131 გვ.), მცენიი მიწერილია: „ეს მოთხრობა დაბეჭდა ტფილისში 1903 ავგისტოში. მღ. პ. კარბელოვი“.

2. აქვე იხ ნაწერ სეტ-შუა, ფანჭრით „იხ. ფორდ. კრონიკ. I, გვ. 65“.

22. „წ[ი]ნ[ა]ა და ნეტარისა მამისა ჩ-ნისა გ რ ი გ ო ლ ი ს ა კ ჳ რ ვ ე ლ თ მ ო ქ მ ე დ ი ს ა, რომელი იყო მთავარ ებისკოპოზი ი[ე] კ ე ს ა რ ი ს ა, პ ო ნ ტ ო ს ს ი ა. სიტყუაჲ ხარებისათჳს ყოველად წმიდისა დედოფლისაჲ ჩ-ნისა ღ-ისმშობელისა. გ. მ.. — ოდეს ანგელოზთა განწყობილებანი გალობითა განბრწყინდებიან...“ გვ. 147—151.

შენიშვნა: 1. ბოლოში დაუწერელად დატოვებულია 151 გვერდის უდიდესი ნაწილი.

2. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 587, § 37:2.

3. ა. როგორც შეიძარებამ გამოამჟღავნა, ეს მეტაფრასი ხუთმოწეწილი იმავე შედგენილობისა არის, როგორც ამავე ტომში აწერილი № 39-ის 1560—78 წწ. გადაწერილი მეტაფრასის (მეტაფრასის დანარჩენი მასალა იხ. № 39-ზე).

ბ. № 273 ხელნაწერი ავსებს № 39-ის ხოკიურად დაზიანებულ სტატიას (იხ. № 39 აღწერილობა, § 1, 42, 43).

## 274

### საპოლიტიკო თეატრი. 1829

300 ფ.; 35×22,4; ჭაღალდი; ტეიფრული ტყავით შემოსილი ბის ყდა; მზედრული (სათაურები სანგრით); გადაწერა: „ლუბერსკი სეკრატარი იოანე იალღუბის ძე; 1829 წ. (295r). დაუწერელია: 1—6, 295v, 297r—300v.

„საპოლიტიკო თეატრონი ანუ საყოფაჭეცო სახილველობა, რომელსა შინა შეკრებულ არიან უალრესნი განზრახვანი თუ რაჲ უბმს ქრისდ და რაჲსაგან ლტოლუად თანამდებ არს მთავარი. თავი პირველი. ვითარმედ ეთავარსა თანა-აძს, რათა განატაროს ცხოერება თვისი პატიოსნებით, რამეთუ მას შეუდგებიან ჴელის ქვეშენი მისნი, ვითარცა ანრდილი გვაძსა. — თუმცა თვითოეული კაცი თანამდებ არს, რათა გარეშეიცაედეს სათნოებასა...“ 14r—295r.

შენიშვნა: 1. ეს თხზულება — „თარგმნილი ლათინურისაგან ელლინურსა ენასა ზედა... უნაროყლაბიის მთავრისა ნიკოლაოს მავროკორდატოვისაგან“ და გამოკვეყნებული 1758 წ. სტეფანე პისიდიელის მიერ, ქართულ ენაზე თარგმნილი ტეიფილიში, არხიმანდრიტის ევენიკეტეს შორ და „ჭართულსა ენასა ზედა შეწყობილი“ 1817 წელს — ყველა თვისი დამატებებით (ტექსტის წინ) დაწერილებით აწერილია H კოლექციის „აღწერილობათა“ III ტომში, № 1015.

2. წინამდებარე წყსბას დართული აქვს ოთარე იალღუბისძისვე ხელით დაწერილი: „... განიწებაჲ პონტოელის პილატეს მიერ... იესო ქრისტეს ზედა“ (296r-v).

ანდერძი (გადაწერისა): „დიდებაჲ ღმრთისა, ყოველთა კეთილთა მასრულისა. სრულ იქმნა ჴელითა ღუბერსკის სეკრატარისა იოანე იალღუბის ძისათა. ჩყკ-სა წელსა, იენისის ე-სა დღესა“ (295r).

## 275

### სვინაქსარი (ფრაგმენტი). XI

1 ფ.; 23×16,3; ტრატი; ფუდო, ლაქებიანი, დაჭუნჭული; ნუსხური: XI ს., გაცხოველებული XV—XVI საუკუნეში (იხ. r-ზე მე-6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და სხ. სტრიქონები, სადაც ცვადად არის გადარჩენილი სტრიქონების ნაწილი პირვანდელი სახით (შდრ. A : 193, A : 97 ხელნაწერების ხელა). შეძენილია მარიამ შალვლდიანცისა გან, 1934 წ. 10 მარეთად.

„... და უფლისა მიმართ მიიცვალა მისვე ღ-თ შემოსილისა გრიგოლის მიერ მრაველითა პატივითა თჳსთა მშობელთა თანა დაიმარხა, რომელმან ცხორებაჲცა ამის სანატრელისა აღწერა.

ამასვე დღესა წ-ისა გ[რ-გ]ლ ...ანიდელ-ეპისკოპოსისა ახლისაღმსარებელისაჲ: — თ-სა იულისსა: — კ ამაღლებაჲ ელია წ-წტყუ-ელისაჲ ეტლითა ცეცხლისაჲთა...“ 1r-v.

წყებაჲ: „ამან, სანატრელმან სიწმიდით და ღ-თის მსახურებით, აღასრულა ცხორებაჲ თჳსი მოკალაქობაჲსა შინა მონაზონ...“

## 276

### ოზვეკოვი მარია. მილენა. 1852

84 ფ.: 20,5×17; ქაღალდი: ბუკოს ყდა, წითელი, მოოქროვილი, ტიტერტული ქაღალდით შემოსილი; ყდა — ტყავისა; ბინდარული; სხვადასხვა ხელით; რუსულიდან თარგმნილი დედით მანუჩარის ძის თუმანოვის მიერ — 1838 წ. დაწერილია 83v—84r. ბოლო ფურცელები ამოჭრილია (84 ფურცელს იჭირთ).

„მილენა ანუ ოზვიათი მაგალითი სულგრძელობისა. — ვითარცა მშვენიერი ვარდი, მიფარული ეზრდილსა შინა ეშრომთა ხეთასა, დამცველთა მისსა მზის მხურვალებისაგან, აღქაჯაედების...“ 5r—83r.

**შენიშვნა:** 1. თავფურცელი: „მილენა ანუ ოზვიათი მაგალითი სულგრძელობისა, შეთხზული ქალის მარია ოზეკოვისაჲს; ხოლო რუსულის ენათაგან გადმოთარგმნილი ნადიარნია სიუეტნიის თავდა დედით მანუჩარიძის თუმანოვისაგან. წელსა ჩყლ©“. (1r).

2. ტექსტს წინ უძღვის ავტორის მარიამ ოზეკოვის მიძღვნა დედისადმი: „უსაყვარლესო და უბატიოსნესო დედაჲ! — ღირს ჰყავით მილებად მცირე მსახურსა მადლობისა..“ (2r—4r).

3. 1r—22v დაწერილია ერთი ხელით; 23r—83r. — სხვა ხელით.

ბოლოში გადაწერის თარიღი: „დასასრული ჩუნს წელსა, ივნისის თ. „დღესა“.

**მინაწერი** 84v-ზე.

## 277

### ავგაროზი. 1845

14 კეფი; სქართო სიგრძე ფრაგნელისა 640 სმ, სიგანე — 11 სმ.; ქაღალდი; ნეხბურა; 1845 წ.; გადაწერი: „პრიტჩინია ახპაური იოანე ზოქწივაძეჲ“. შემკულია წმიდანთა მრავალი უხეში გამოსახულებით.

1. „სახარება იოანესი. — პირველითგან იყო სიტყჳა და სიტყჳა იგი იყო ღეთისა თანა...“ (თავი 1,1—17).

**შენიშვნა:** სახარების ტექსტის ქვემოთ: „დაიბრუნეთ ჯოვლის პირისაგან სწურისა (?) და სნეულისაგან, ცხრისა და ხურკ(ე)ისაგან, ავის ჯუღის ძგერისაგან, კრთომისაგა(ნ), ავის სიხრმისაგან, ავის თვალ-ყურისაგან, ჯრძნეულის ქაჯის ქარ-ფეულებისაგან, დაიხსენ მონა ღეჲ ზენ[ი]. სახელი“. III კეფზე.

2. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისა ღუთისათა, მიჭედ და გაბრიელ. ლოცვა მუცლის ტეხისა.—„ლილისა წყალი ამოდის, ლილისა ფრინველი მოფრინავს, ლილისა ხესა შეჯდა, ლილისა ყრიდა ნაღტკვენსა; ლილისა მოვიდოდა (დედა)-კაცი, ცოფით მოცინვარე. სვა წყალი იგი ლილისა, ღაღადყო და სთქუა: „უფალო, შემიწყალე მე დ(ა) ასოთა ჩემთა გამოიყვანე ტეხისაგან ტომაქსა შინა და (ა)სონი დ(ა)ტკეე და სიტყვანი მოანჩენ მონასა შენსა“. IV კეფზე.

3. „ლოცვა ალისა. სახელითა ღუთისათა, მამისა, ძისათა, სულისა წმიდისათა. ჩვენ ვიყვენით სამნი ძმანი, სამებისა ძალისანი: ოროზ, მოროზ და კვიროსტინე: გავედით მთასა მაღალსა სანადიროსა...“ IV—V კეფზე.

4. „ლოცვა ცხრო-ხურვებისა. სახელითა მამისათა... — ვითარ საკვირველ არს ალითა და სამჭელითა, ეგრეთვე დასამჭელხარ შენ, ცხრო და ხურვებაო...“ V კეფზე.

5. „ლოცვა ქაჯისა. დიოდონი წვრილნი კაცნი წვრილსა გზასა კლდოვანსა ისხდენ და იცინოდენ, ჩანგს კერიდენ, ცეკვას იქმოდენ...“ V—VI კეფზე.

6. „ლოცვა თვალ-ყბისა. — გამოვიდა ზღვით კაცი. ვით ღრმი ბღაოდა...“ VI—VII კეფზე.

7. „სახელითა მღთისათა. — ქვასა ქვეშე შუა ასპიტი. ერთი თვალი ედგა წყლისა და ერთი — ცეცხლ(ი)სა. დაშ(რ)ტა ცეცხლი იგი...“ VII კეფზე.

8. „ლოცა თვალ-ყბისა. — გამოვიდა შავი კაცი შავის კლდიდგან, შავის შეკაზმულობითა. ჩაყო (?). შავი ჯაჭვი ტანთა ეცვა. კბილსა მოაღრჭენდა, თვალთა მოანთებდა, მოკაკაჩობდა, მოაჯუნდრუკებდა...“ VII—VIII კეფზე.

**შენიშვნა:** აქვე, ქვემოთ, ახალი აბზაცით: „გამოვიდა შავი კაცი ტყით: გამოიევანა ცხენი შავი, ადგა ლაგამი შავი. შეჯდა და გამოვიდოდა წყალსა შავსა; ჩაყო შავი მათრახი. ამოიღო და ნახა, რომ შავი ღირფოლტი გაჰკრა მგელი, აყარა მარილი შავი, დასვა მთელთამთველასა, გულთა მხაკვარსა თვალთა ნაცარი, გულთა ლახვარი, ქვა და რკუ, ვისიც თვალი შენ გქცა“.

9. „ლოცვა თვალ-ცემულისა. — მთავარ ანგელოზი მოსილითა და წმინდა სისინა დადგა სალოც(ა)ვდ. მოვიდოდა გრძნეული ცეცხლისფერად...“ VIII კეფზე.

10. „ლოცვა მისვე დომეტისა. გაის, გვირგვინის [?], ევტუქის, მელიტონის, ათანასეს, კვირილეს...და ქურდიანოს. — ლალე ე ბანი, ბანი ესენია, ედენია, იღეე, ქიშა... ამათითა სახელებითა შეიკრა პირი გრძნეულისა დღითა და ქაჯთა...“ VIII კეფზე.

11. „ლოცვა შვიდთა ყრმათა ზედა. — უფლისა მიმართ ვილოცოთ! — ღმერთო, დიდო და მაღალო, ყოველად მოუკლებელო...“ VIII—IX კეფ.

12. „ლოცვა სნეულსა ზედა. — ღმერ(თ)ო ჩვენო, ღმერთო ცხოვრებისა! მოყავ ყური ვედრებასა ჩვენსა, მორთმა შენთასა და მოგვეც სახიერებისა შენისაგან...“ IX კეფ.

„13. „წ'ა გ[იორგ]ი შიწეფისაო... ლიგანისაო, ქედისაო, მახუ[ნ]ცეთისაო, ერგისაო, ჩეხნარისაო, ქაჯვეთისაო[!], ქვეშულე[თი]ს[ა]ო, ახალშენის[ა]ო, თეთროსანისაო, ალაბ[ბ?შ?]რისაო, ხანჯერისაო, ეჭადი[ნ]საო, ხონისაო, რახვე'თის[ა]ო, ვაჭალეტის'ო, დაფანდისაო, ნამწყადი[ნ]საო, ხონისაო, რახვე'თის[ა]ო, ვაჭალეტის'ო, ლაფანდისაო, ნამწყავეტ'სო, ვაკისჯვრისაო, კახორისაო, ურმის თვალისაო, ნამტკაველტისაო, ვაკის ჯვარისაო (მეორეჯერ ეს ორი და მომდევნო ორი), ზეგორისაო, გალავანისაო, ეზოსაო, იეიდისაო, ჩიბეთისაო (თუ „ჩიბათის“?), ბეხელისაო, ეველისაო, მწრაელისაო, ჯორცელო, ყორეისაო [!], სუჯუნისაო, ლანისაო, ჩხარისაო, მთისაო, ბრაყარძლისაო, ედეთისაო, ალავერდისაო, სამებისაო, ზღვისაო [!], ხვაწლისაო, კახეთისაო, გორისჯვრისაო, იტოკისაო [ატოკის?], [მ]თაწმიდისაო, სეკრისაო, პარეკისაო, ქაშვეთისაო, სვანეთისაო, ზეინდრისაო, საწირისაო, მუხურისაო, კაცხისაო, ვახურისაო [!], ვასანისაო [თუ ვახანის?], გორგორყმისაო, ზღვის პირისაო, გვარემეტისაო [თუ გვარამეთის?], ხუცუბ[ნ]ისაო, ჯიხანჯურისაო, ლეხურისაო, გამოჩინებულისაო, დღვაბუისაო [თუ ღუაბზუის?], წითელევისაო [!], გორისაო, გორემეტისაო [!], ძევრისაო, სალხინოსაო, მელ[ტ]ეხისაო, გორ-მაღლისაო, როკითისაო, [ფ]ერ სოფისაო[!], სავნავარისაო, მაღლაკისაო, შმურისაო, ჯრუპისაო.

წ'ა გიორგი, ხვარასანთ ტყეთა მხსნელო და წ'ა გიორგი კაბადუკიასაო! დაიცევ ყოვლის გასაჭირისაგან და განსაცდელისაგან და ავის მოჩვენებისაგა[ნ] და ყოვლის უგმურისაგან და უმცნაურის ეშმაკისაგან დაიხსენი მონა ესე შენი". X, XI XII კეფი.

15. „წმინდაო მოწამეო დავით და კოსტანტინე, მაცხოვარო ჩხარისაო, მაცხოვარო რვენისაო [რვანის?] ...გოდობნისაო, ...გელათისაო, საქარისაო, კაცხისაო, სამებ[ისა]ო, ღვთისაო... სამასსამოცდახუთის ჭირის განმაქარვებელო, წ'ოგიორგი, ტყეთა მხსნელო... მეოხ, მცველ ეკლესიათ მონასა ამას ღვთისასა..." XII—XIII კეფი.

**ანდერძი** (ვადამწერისა): ჩემი წელს, მარტის კგ. აღწერე ესე ანგაროზი [!] ჩემდა სამშვიდობოდ და სადღინგრელოდ და განსაძრიელებლად და ღვთისა სადიდებლად ა ხ ნ ა ზ უ რ მ ი ვ ა ნ ე ბ [რ] ი ს ტ ნ ე მ ა ს წ ი ე წ ი ვ ა ძ ო ე მ. და თუ ვინმე მომპაროს ესე ანგაროზი, ან დამწყაროს, ნახოს სხვამ, არ გამომიჩინოს, მაშინ იქმნეს შენისანებული და წყეული ღვთისაგან და რაც ამაში მოწამების სახელი სწერია, ან წმინდა გიორგის მათი მადლი გაწყრეს. ამინ, ამინ, ამინ", ბოლოში.

## 278

### სომხური ლოცვანი. XIX

32 ფ.; 20,5×17,3; ქაღალდი (ცისფერი); მუყაოს ყდა, მოშლილი, დახიანებული (II ფრთა); მხედრული, სომხური ტექსტი ქართული ასოებით; სათაურები სინგურით; XIX ს.; დაწერილია: 28—32 ფფ.

[სომხური ლოცვანი].

„ჰრეჟარიმქ ისატანე იევ ამენ ხაბეუთენ ნორა იპატრნც, ნორა იხორურდუც..." 1r—27v.

**შენიშვნა:** ხელნაწერში ჩადებულია 2 ფ. სხვა ქაღალდი: „როშელნიც საჭმელნი მეჭმებიან და არ აღმკრძალებიან, ქმეკმორე ამისსა აღიწერებიან და რომელნიც აღმკრძალებიან და არ მეჭმებიან, ისინიც აჰკე ერთად აღიწერებიან, ქ. ცხერის ხორცი, ბოზბაშად თუ ცივად მეჭმება..." აღმოსავლურ-ქართული საჭელების ნუსხა— XIX ს. I ნახევრისა.

## 279

### შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. 1826

132 ფ.; 31×20,3; ქაღალდი: თვრამეტული, დახიანებული; 1—6, 83—85 დაბეჭდილია: 14—17, 30—31, 86—105 ამოვარდნილია; ტექიერული ტყავით შეშოსილი მუყაოს ყდა მოშლილი, ყუასა და კიდეებზე გაკეთილია; მხედრული: 1826 წ. გადაწერილი ყარაბაღ. ში, ს. ჩანახჩიში.

„წ. რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი". ყარაბაღული ვარიანტი".

ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა.

— იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი..." 1r—119r.

თ ა ვ დ ე ბ ა: „ვასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.

გარდახდა, განვლო სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ქამისა!

ვის გრძელად ჭგონია სოფელი, არის მისთჳსცა წამისა

და მე, რუსთაველმა გავლექსე ამბავად მათთ შესაბამისა".

**შენიშვნა:** 1. ტექსტს დასწყისში აკლია „წესაცალი“—გადარჩენილია მხოლოდ უკანასკნელი სამი სტრიქონი:

„სიარული, მარტოობა შენის, გაჭიმად დაეფიცულების.
იგონებდეს, მისგან კიდე ნუროადეს მოეცლების
და არ დაიძინდეს მიჯნურობა, სჯობს თუ კაცთა ტაბლების“ (1r).

2. ხელნაწერს აქვს ჩანართები:
ა. „ტარიელის დასწეულება და ხვარაზმით მეფისაგან სისხლის ძებნაი“ (108v—110r).
ბ. „ესმა ინდოთ მეფეს« ტარიელს მოსულა ხვარაზმელთა“ (110r—111r).
გ. „ტარიელისაგან ავთანდილთან და ფრიდონთან კაცის გაგზავნაი“ (111r—112v).
დ. „მოსწყლა ავთანდილის და ფრიდონისა ტარიელის სანეწულოდ“ (112v—113v).
ე. „ავთანდილისა და ფრიდონისაგან წასწყლა ხვარაზმშისა ზედა და მათთან ომი“ (113v—115v).
ვ. „ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა თანა“ (115v—119r).
3. ხელნაწერის პოლოს მოთავსებულია „ეფუძნებაფოსნის“ „თარგმანი“ — ანუ ლექსიკონი: „თარგმანი.—აბჯარი ტანსაცმელს ჯავშანი, მშვილდისარსა და სხვათ ამგვართ იარაღს ჰქვიან...“ (121r—131r).

4. „ეფუძნებაფოსნის“ ტექსტის გარდა ხელნაწერში შეტანილია ვახტანგ VI-ის მაჯამები, სხვა ხელით დაწერილი:

„ესე აბანით ქება ღაცხო და ახლად შემოღებული და არ ადეხილად სათარგმნებული, თქმული მეფისა ვახტანგისა მიერ, უფალმან მრავალჟამიერ ჰყოს სახსენებელნი მისნი. ამინ. ამინ.

—კ. ასრე არის ავეფხისთა ამაგებელსა აქ აქებდეს...“ (119v—120r).

წყდება: „ოდეს ოხროსა ოხვიანდეს [?], ოხრიდენ ოხა-ოხითა“.

**ანდერძი** (გადამწერისა):

„დავშურე არ ცუდად და გარდმოვსწერე მე წიგნი ესე ეფუძის ტყვეისა,
ამად, ვინათგან აოს სატკივილი ქართველთ გომერის შენათხზვისა.
ვინ იყო ძველად არ ნაკლულებად ელლენთ შულეკსეთ სადარისა,
და თამარის დროსა დიდებული მეფის ქალაქსა შინა მას რუსთაველსა.
მეთხველნო ამა შეთხზულთა ლექსთა, ქართველთა ძველთა რუსთველისთა,
ღირს-სახსოვრისა მის მეღვინისა. ცოდნა-მრავლისთა და მეტყველისთა.
ეკეთესთხზეთა, არ ბაკლეს სტრაი ენათა გეპართა ტკბილ-მეტყველისთა
და დიდებად მისად მიჯნურთ მქებრისად, მართ საკადრისად სიტყვა-ქველისთა.
ესე მცირენი, თუც ვერ სიტერნი მის დიდებულის მოხსენებანი,
ლმობიერ-ყოფად გულთა ყოველთა, მეითხველ-მსმენელთა მისნი ქებანი.
იწყარეთ ყოველთა ბრალნ-მოყვარულთა და ჰქმენით მართლად განმარტებანი.
და საეროდ, საღმრთოდ სასულიეროდ მის აღწერილნი შეთხზულებანი.
თუცა მრავალნი არ გამოჩინჯვენი შეთხზეთა მისთა ხუნობენ ამას,
ჭმნულსა მის მიერ, ერთთა მორეულ საწუთროსად კეცეის შემსჭვალეას.
მაგრა, გარშემღნებ ყოველთ მკითხველთა, მრთელად მისის ჰაზრის წრფელ გაგონებას.
და ფერმეს გასინჯვეთ და კეთილ ეთზეით იქით მისთ აღწერილით ჰაზრთ განმარტებას.
ლამაზ წყობილთა მართ ფატკიბილთა. მისთა შეთხზეთა კეზად მიჯნურთა,
ნუთუ ჯორეელთ ოდენ ეიგონებთ, გარნა სტლიერთაც, ღ'თის მოყვარულთა.
ინიღეთ, სადა სწერს მეფე ეახტანგ ღ'თის მიჯნურობის თარგმანთა ბრძნულთა.
და ამად ეკიტყეთ მის მიჯნურობას, ნაკმულად ჯორეელთ გადმთარგმნულთა.
სრულ იქნეს დროსა დიდებულისა რუსთ ქმეწიფისა ნიკოლოსისსა,
სამფლობელოსა ძველ განსაგისა, წილად ხდომილის მის ბარფოსისსა;
წრფდებულითა ენით სპარსულით მას სახანოსა ყარაბაღისასა,
და სოფელსა შინა სომხობრძოლთებულს ავეტარანუცს აწ ჩანაბრისასა.
აღვსწერე წელსა შემდგომად შობის ყოველთ მაცხოვრის იესო ქრისტესა,
ათას რვაასსა, ექვსმ[ო]ც და ოცსა, რიცხვითა ოთხსა ივლისის თთვესა.
დიდება ღმერთსა, ყოველთ შემწესა, არსთა მოქმედსა და სრულყოფელსა
და ჯთხოვთ თქვენ, ყოველთა აღმომკითხველთა, შენდობ ღბრძანოთ ამის მწერალსა“.
(132r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მინაწერები**: 1. „ამის მაღალს კეთილშობილებას მიხაკ ყორღანოვს...“ (წერილის დასაწყისი ნაწილი — მიმართვა) (132v).

2. „მონა ვარ მე ვახტანგისა, მისთვის ვაქებ მაჯამითა,
ოდეს შევასხი ქებანი არ მელალვის მაჯა მითა.
ნებით ვიწერ შაშრი მელკო, ანუ რა მაჭვს მა ჯამითა.
ახარე მწყურვალი გული! წყარო მომეც მა ჯამითა.

შეკრებულნ ერთად მკრთოლვალენი [უს]დოთ მნათნი.
ვარდნი, ზამბახთა ნაკაზნავნი [!] და გიშრის სათნი.
ლალნი, შემკეფელნი მარგალიტთა, მკვლენ ეშინი მათნი!
ფშვიან სხემბუეთა სურნელება მგზავს ქასიათნი.
ვაი, აწ[ა] ვცან სოფლისა საქმენნი და ხასიათნი“.

I ყდის შიგნიდან, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით.

3. „Q 279. ვეფხის-ტყაოსანი, ყარაბაღული ვარიანტი. გადაწერილია 1826 წელს (ლექსიკონითურთ)“.

ეს მინაწერი დაწერილია I ყდის შიგნით გაყრილ ქაღალდზე, პროფ. ალ. ბარამიძის ხელით.

## 280

### შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. XIX

187 ფ ; 21×17,5; ქაღალდი; ტეიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა, თითქმის მოცილებული; 1—14 ფ.ფ. მოშლილი, 5,181 ფ. ამოყრილნი; მხედრული; სათაურები წითელი მელნით; XIX ს. I ნახევრის. შეჭრილია ალექს. ლეონიძისაგან, 250 მ.

„ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა.

— იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სეიანი...“ 4r—157r.

თავდება: — „და ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა“.

**შენიშვნა**: 1. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს წინ უძღვის: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ამო და სასიწრფესად შეკნეფრი სწავლისათჳს სხჳ და სხჳ ჰაზრისა.

— რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ (1r—4r).

თავდება: — „და არა დაიწდეს მიჯნურობა; სჯობს თუ კაცთა ბანლების“.

2. ბ. ხელნაწერის ტექსტი გადმოწერილია ვახტანგის სტამბის 1712 წლის გამოცემიდან. ბ. მას არა აქვს დასაწყისში ნაბეჭდი გამოცემის თავფურცელი, ბაგრატიონთა ღერბის ქვეშ მოთავსებული ლექსი და 1712 წ. გამოცემის ვახტანგის ცნობილი ანდერძი (სადიდებელად წ'სა სამებისა“ და სხ.) გ. ბოლოში დართული აქვს:

I. მცხეთაში მიქაელიოს ორსტროფიანი ლექსი (157r).

II. „თარგმანი პირველი... ბატონიშვილისა, გამგებელისა, პატრონისა ვახტანგისა. — მე ვსწერ, ძმისწული მეფისა გიორგისა...“ (157v—187r).

III. ვახტანგის „თარგმანი“ თითქმის მთლიანად არის გადმოწერილი (ბოლოში რამდენიმე სტროჭინი აკლია). ალეგ-ალაგ ტექსტის დაძახილებით და შემოკლებით: შდრ. მაგალითად ხელნაწერის ბოლო სტროჭინები:

„[რ]ა გამ: თნება სიძულილია.

[ხ]ამბრ: თვითანვე ისწავლება (აქ წყდება)“.

ნაბეჭდ ტექსტში: „რა გამ: თნება სიძულილი არ არის, მაგრამც უგვანად თნება ურიგოა“. (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის აღდგენილი გამოცემა 1937 წ. ა. შანიძის გვ. ტნა).

## 281

### სამკურნალო კრებული. 1834

321 ფ.: 34×21,5; ქაღალდი; ხის ყდა, ტეიფრული ტყავით შემოსილი, კიდეებზე ჯაკვეთილი, თოძქმის მოცილებული; ნაკლული — აკლია: 1 ფ. 32—33 ფ. შუა, 6 ფ. 106—107 შუა, 2 ფ. 182—183 ფ. შუა, 1 ფ. 193—194 შუა, 3 ფ. 220—221 ფ. შუა, 1 ფ. 250—251 ფ. შუა; ამოვარდნილი და კიდეშემოცვეთილია: 1,8—9, 16, 25—27; 30—33, 316—321 ფ.; ჯახეულია 226 ფ.; დაუწერელია 267v და 276v-ს ნაწილი; აქეს ძველი გვერდობლივი პაგინაცია (1—664), ფურცლების დაარჯვის გამო გამოუსადეგარი: მხედრული; სათაურები ოქრომელნითა და სინჯრით; თავთავული გვერდის ტექსტი ჩაწერილია სინჯრით შემოხაზულ ოთხკუთხედ ჩარჩოში; 1834 წ.; შეძენილია ნ. ოქრუაშვილისაგან.

1. «იადიგარ დაუდი». ა. „პირველი წილი და კარი საქიმოსა საქმეებს რომ გამცნებს და გიანბობს, ეს არის რომ, რასაცა საქმელსა სჭამს, ყველ ქაცის მუცელსა და სტომაქ შიგა დადნების...“ 3r—169v.

წყდება: ოცდამეათე კარის შემდეგ ადგილზე:

„მერგეს დღესა ეგრისა, ან გარეულის ფრინველის ლაპების ხარშოები შექნან და აჭამონ. ნუშის ზეთი ურიონ, ქინძი და ისპანახი გამოხარშონ და ისრე აჭამონ და ცოტა ბრინჯიცა ურიონ [და], სადამდი სიცხე და სიმხურვალე გამოუვიდოდეს, ესე საქმელები აჭამონ“.

2. „[სათულ ‡ ჯ]ანბით და ვადადებულს აჭამონ] მცავე ბროწეული, მცავე ხართუთა, მაყვალი, ქლიავი, კოწახური...“ (169v—260v).

**შენიშვნა:** 1. დართული აქეს:

ა. „სამთვარიო მართალი და ჰეშმარიტი“ (261r—266v).

ბ. სამკურნალო დარიგებანი: „ქ. ცელის გაჭრა თუ გინდოდესთ...“ (267r).

გ. „მაჭლამების ხასიათი“ (268r—272r).

დ. „ჯალინოზის ზეთები. — ჰ. ესე კოლინჯისა ზეთია. ამიე ბალილაჯი ქაბული...“ (272r—276v).

ე. „[სა]ტ[ტ]ო[ლ]. — ჱტლი მართალი და ჰეშმარიტი...“ (277r—279v).

ვ. „ხარიევი არს კარაბადინისა...“ (280r—288v).

3. „ცხენის კარაბადინი“. „ა. კაცთაგან პე[ი]ტართა კაც[-კარი] ცხენისა და ჯოგის შეყრისა. — ჯოგის საქმეს ასრე ეცადე...“ (291r—317r).

**შენიშვნა:** 1. კარაბადინი ვახტანგ VI მიერ არის თარგმნილი და შეკრებილი. — იხ. „თქმული სპარსთა და არაბთ შინა, ფუძისად ქუეყანისა ამას შინა ცდილობისასა, რომელსა უწოდებდენ. ქართულად გამოცადნა თარგმანებითა და შეკრიბნა ერთად ღმით დიდებულმან ძემან მეფეთამან ვახტანგ“ (291r).

2. ცხენის კარაბადინს წინ უძღვის:

I. „ცხენის კარაბადინის სარჩევი“ (289r—290v).

II. „ცხენის კარაბადინის“ წინასიტყვაობა (მთარგმნელისა):

„ქ. ძლიერებითა და შეწევნითა ყოველთა შემოქმედისა და ღ[მი]სა ერთისასა და სამთვისებებისათა და თანადგომითა ყოველთა მისთა წმიდათათ მცირესა რასმე სწავლასა მოვიღებთ...“

3. წინასიტყვაობაში განმარტებულია: I. ცხენის მნიშვნელობა ადამიანისათვის, განსაკუთრებით მონადირეთა და მხედართათვის.

II. ცხენის წარმოშობის ისტორია: ღმერთმა ცხენი ხეღაში გაარინა. მოთხრობილია — რა პირობებით გამოვიდა ცხენი ხეღიდან ადამიანის სახმარად.

III. ცხენის მოვლისა და მკურნალობის ძირითადი წესები.

4. კრებულს დართული აქვს: ა. ასტროლოგიური ცნობები: „იანვარი. წყლის საქნელისა ზედა ოთხესი იწყას, ნიშანი ჰკრნდეს წყლსა...“ დაწერილი XIX—XX ს. ლამაზი ხელით, სათაურით „სამკითხაო...“ (317v).

(„ამ სამკითხაოს“ ნაწილი იხ. 32v—33r-ზე).

ბ. შეტად საყურადღებო ტაბლეტები, საწერუხაროდ ნაწილობრივ ცარიელი — აღნიშნულია ცალ-ცალკე, აღნუსხულია წამლების სახელები ახეადასხვა ენაზე და წამლების ჭარხლული სახელები (318r—320r).

გ. სახიებლის ნაწყვეტი (321).

ეს სახიებელი მცრმიწდელი შედგენილია და დაწერილია იმავე—XX ს. — ხელით როგორიცაა „სამკითხაო“ (317v).

დ. ხელნაწერში ჩართულია „ა ს ო თ ა ს ა მ ღ ვ რ ო ე ლ ი მართალი და ჰეშმარიტი, ნათქუამი დანიელ წინასწარმეტყველისაგან და ალექსანდრე მაკედონელისაგან და და იმის ჯადოსნისაგან ერანელთა ეპრანელისაგან“. დაწერილი იქვე ხელით, როგორიცაა „სამკითხაო“ და სახიებლის ნაწყვეტი (31v—32v).

„ასოთა სამღვროელის“ ბოლოში მაწერილია: „დასრულდა ეს სამკითხაო წიგნი მამროზითის სჯულის. მართალი და ჰეშმარიტი არის, ვამოწმებ ქართველი აბაში

ს ვ ი მ ო ნ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე ცოტაძემ. 18 $\frac{10}{VII}$ 99“.

ე. კრებული, როგორც მისი ფურცლების მდგომარეობა და მინაწერი-ჩანაბატი მოწმობს, ხმარებაში ყოფილა მისი გადაწერის დროიდან XIX ს. უკანასკნელ წლამდის (1899—1900), იხ. 260v.

**ანდერძები** (გადაწერისა): 1. „ცოდეილს ამის მწერალს, ტატულარნი სოფელნიკ ნ ი კ ო ლ ო ზ მოსეს ძე ბაღრატიონს შენდობას მიმძინებდით, ძმანო, შვილნო და მამანო“ 31r-ზე, ოქროშელნით, მარჯვენა კუთხეში (ზემოთ).

2. „გაბასრულდა. დიდება ღმერთსა. ნოემბრის კბ-სა, ჩყლდ წელსა“ (ტექსტის ბოლოს, 290v).

3. კრებულის შემდგენისა. დ ა ფ თ ხ ა ნ ი ს ანდერძის ზოგიერთი ადგილების ჩართვით): „კმა დიდება დაფსაბამსოსა მაღალსა ქრისტესა ღმერთს ჩვენსა, რომელმან არა[რაჯნაჯან არსებითი თვისითა მიწათი მიწათა გიჯათა კაცად შექმნა და სახე პირისა თვისისა მაზედა გამოსახა და ბრწყინვალე სული თვისი შთაბერა და ადამისათნა წინა სარტყელი [?— წინასწარმეტყველი] გამოგეიჩინა და სამოთხე სამყოფოდ-როთ სამოყოფად დაგიმყენდრა და ყოველი სული და იძერიისა მასე დაამორჩილა და ჩვენც ერთის წყვეთისა წყლისაგან არაკაცი კაცად შეგეკმნა, ჭეშა და სწრაფლაე მანვე გვიბოძა. და მცრმე ცოთი[თა] და უგუნურებითა ჩვენითა გასვიწყრომეთ ტკბილი და მოწყალე ღმერთი ჩვენი. და კიდევე მეორედ შეგვიწყნარა და შეგვიწყალა და წყრომისა და შეცოდებისა წილ მოგვაბოძა ჯართაბოძა ზეცით და სულისაგან წმინდისა ხორცნი შეისხნა და ჩვენ — ცოდვილთათვის ბიწიერთა ჰეროითაგან ყველის ტკეა და სიკვდილისა გემო იხილა, დასთხვა ჩვენთვის უფასო სისხლი თვისი და ძალითა უძლეველითა თვისითა სძლო მტერთა ჩვენთა და მეძრძოლთა ჩვენთა და წარმოსტყუენა გმობა[ი]თა სავსე ჯოჯოხეთი იგინი ძნელისა სატყრობილისაგან, რომელი კაცდაგებდეს და იტყოდეს მოსვლასა და ფიცულითად გაანძორცეველებსა ქრისტესა.

აწე ყოველმან სულმან და იძერიისაგან [?] ესე უნდა იცოდეს: ის არის ყოველის სენისა და ჭირის მკურნალი და წამალი; ის არის ყოველის შეჯარეებულისა და ტკონის ღონე; ის არის ყოველისა დაცემულისა და სპარალის ყელის ამპყრობელნი და აღმაყენებელი. თუ არა სხვა საქმე, წამალი ყველი მოთოფილი და მოგებული არის. ბოლომ[ი]. შეწევნითა ღ ო ი ს ა და ბძანებითა, ჯ ე ი ე ნ ო ზ აქამდი ასეთი ავიში და ფილასოფოსი იყო, რომე, სადაც გაიარის, ან საცა ბე, ბალაში დახედის, ყოველმან ხემან და ბალახმან ენა ამოქცდის და ჯალიანს აქიმს ხმა საცის და უანბის და შეწევნითა ღ ო ი ს ა ნ ი ს ა და მე ესე მქვიანო და მე ესეო; მე ამ სენისა და ჭირის მკურნალი და აქიმი ვარო და მე ვყო. იმთაეც, ბძანებითა და ჯანყებითა ღ ო ი ს ა ნ ი ს ა, ამა ეამსა და ამა დღესა უკანა დაიწყეს საქმოება და აქიმობა და ყოველსა ფერსა სენსა და ჭირსა მიუხედეს და სათვივისა [?] და შეატყეეს თუ რა და რომელი სენი და ჭირი სჭირსა და რის მიჯარეებისაგან აეძერის და დაებადების, ან რისა და რომელისა ჯეარისა და

ხილთაგან შეიკნების და ან კაცი ავად რის მიზეზისაგან გახდების და ან კაცი რისაგან მოკვდების, ან რა და რომელი ხილთი რის მიზეზისაგან ადუღდების, ან რომლისა ძარღვიდგან ადუღდების და ან შეიკნების და ან იმა სენისა და ხილთებისა ნიშნები და ალამათები რა და რომელი არის, ან იმისი წამლები და ექიმის როგორ უნდა.

აწე მრავალი საკმაო სამეცნიერო წიგნები დასწერეს და გამართეს, რომე ამა ქამისა კაცთა ჭკუა და გონება ვერ მიხვდების და მათნი სიტყვანი და საქმენი სწავლითა და წამებები ზღვათაგანეც უმრავლესი არის და არცა კაცის ენისაგან ითქმის. აწე სრულსა ამა წიგნებისაგან მე, ცოდვილმან შარიტ ზადამან ესე წიგნი იმა მრავალთა წიგნთაგან გამოვიღე და გამოვკრიბე და რაც ან აქიმთა და ან წამებები მცეთა და გულშინა შემოშთებოდა და ან აკადემია და ფილასოფოსთაგან კაცთაგან ბეეროჯერ ნაქმარი და დაცდილი წამლები იყო და ან საქმეები, ყველა იმ წიგნებიდამ გამოვკრიბე და გამოვიღე და ეს წიგნი გავაკეთე და სრულად ამ წიგნში დავსწერეთ და ამ წიგნსა სახელად მუნთახაბი დავარქვი, ეითამცა სრულისა და საჭიმოსა წიგნებიდაღმან გამორჩეული და გამოკრებული და ყოველი სენისა და ჭირის მკურნალი და წამლებაო.

აწე ცოდვილი და უღირსი დაუმზარ ამას მიეხედი და შევიტყევ: კაცმან რომე კაცი ავადმყოფი, ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა, ჭირსა და სარჯულსა და სიკვდილს მოარჩინოს, დიდი მადლი არის. მერმე ღუარისმსცემა ამა წიგნისა გარდმომდებმა და გარდმომთარგნელმან ბეღლსა მოვიდეც და შეე[ვ]ედე და ღ'თისაგან ესე ე[ნ]თხოვე და ესე ვიპოვე, რომე ამდენი ჯერ და გონება და სწავლა და გულისყური მიბძოე და ამდენი ძალი და გამხლეობა მომეც მეთქი, რომე ესე ბრძენთა და ფილასოფოსთა კაცთაგან ნაქმარი და მოგონებული ესე საკიმო წიგნი და საქმეები ურცხვად და მართალად გარდმეთქვა და გარდმეგრთარგნი [!] და ნებისაებრ გავითარო და ამას მიეხედე და შეეტყო თუ კაცი რომლისა ხილთისა და ან რომლისა სენისაგან და ჭირისაგან გახდების ავად და ან რა და რომელი ჭირი რომლისა ხილთისაგან და ან რომლისა მიჯარებისაგან დაიბადების და ან იმა ხილთებისა და სენებისა ნიშნები და ალამათები რა და რომელი არის, ან მისი წამლები და ექიმის შეწყობა როგორც უნდა.

აწე ერთი საჭიმო მუხთასარი, ეითამცა და კარგი წიგნი, გარდმოვიღე და ყოველისა საკმოებისა წიგნებიდაღმან გამოვკებული და გამოკრებული და ან რაცა ბრძე[ნ]თ და ფილასოფოსთა კაცთაგან ნაქმარი და ან ნათქუამი სიტყვანი და ან საქმეები იყოს და ან მე, ცოდვილსა და ღუარისსა, გამეგონოს და გამთელიყოს და ან მრავალჯერ დამეცადოს, ყველა ამ წიგნშიგან დაესწერო და ის სენი და ჭირი [რომე ძესა ქრისტესა არა ასცილებების, მის ყოელისა ფეროსა ჭირისა და სატკივრისა მიზეზები და ნიშნები და ალამათები და მათ-მათი შესაფერი წამლები მართლად შევიტყო და გარდმოვთარგნენ და ყველა ამა წიგნშიგან მართალად და უმტკუნესად დავსწერო. ამისთვის, რომე, თუ კაცი ასეთსა ალაჯსა ავად გახდეს, რომე იქი აქიმი და შემტყოში კაცი არ იყოს, ესე წიგნი დაიღეან. წიგნი[!] და ამ წიგნითა უკანმონ და რა რიგითაც ამა წიგნშიგან ეწერიოს, ან მრავალეარიანს სენების ნიშნები და ალამათები თავ-თავისა სენისა შესაფერი წამლები და ქლისა შეწყობა და მაჯღუნების შარბათებისა გაკეთებანი და ან მალამებისა და ტკეპნების გაკეთებანი, ან მაჯისა, ან ღეღერისა შეტყობა, ან სისხლისა, ან ზაფრისა და ან ბალღმისა და ან სქესის სენებისა ნიშნები და მათ-მათი შესაფერი წამლები და შეტყობა სწერია და ყველა ისე ჭნან და ვინც ამ წიგნს მიჰყვება წდა გაეგონოს, ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა უსაოურად კაცსა ბეღლის ნება აუსრულდების და ავადმყოფსა მკურნალი ჰყრნებს. ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა ჩვენ შევატყევით თუ რა და რომელი სენი რომლისა ძარღვისაგან იქნების და დაებადების. ან სიცხისა და ან სიგრილისაგან რომე კაცი ავად გახდეს, იმას როგორ უნდა შეტყობა, ანა იმა ოთხისა ხილთისა ნიშნები რომელი არის, ან იმა ხილთების წამლები და ან ქლისშეწყობა როგორ უნდა — ყველა მართლად და გარჩევით დამიწერია და ოთხმოცსა გვარსა სენსა ყველას თავი ერთად შემოვკარე და ყველა ერთად შემოვკარიე და იმავ ოთხმოცისავე სენისა ნიშნები და ალამათები და ქლისშეწყობა, ყველა ამა წიგნშიგა გარჩევით და მართლად დავსწერე და თვითოსა გვარსა სენშეგა თვითოსა კარი გავხარეთ [! = თვითო კარი გავმართე]. ყოველსა სენსა და სატკივარსა თავთა მისი[! = თავ-თავისი] შიზეზები და

წამლები ყველა გარჩევით დავსწერეთ; ამისთვის, რომე რომლისაცა სენისა და სატკივრის პოვნა ვინდომებს, ყველა სენი და ჭირი თავ-თავის კარსა და ჯურჯაშიგან მონახოთ და იმა მრავალთა გვარისა სენებისა ნიშნებისა და წამლებისა, ყველას იქ იპოებთ.

აწე, ვინცა ესე წიგნი ნახოთ და წაიკითხოთ, ყოველი საჭიმონი საქმენი ისწავლოდ [!] და გარდაიღოთ: წამლები, მალამები და ტლები. ყველი ისწავლოდ და ყველა კარგად ცნათ.

აწე ესე აქიმობა და მრავალფერი წამლები ამისთვის არის მოგონებული — ზოგი საქრილო და ზოგი სამხურავალო, რამეთუ [!] კაცსა დღენი არ მოსლოდეს და ამ განგებითა ღ'თისათა მის კაცისა დღენი არ აღსრულებულ იყვნენ, კაცი მწყრდ არ გაისარჯოს, თვარა რა და რა ბრძანება და განგებითა ღ'თისათა იქნების და ან კაცსა სიკუდილის დღენი მოუსულნ, ტანი კლდეც იყოს, ისიც ცვილად გარდაიქცევის და ნებლი[!] გაბმების, არამ თუ ბრძანებასა და განგებასა ღ'თისასა კაცი მოერჩეს და ან უნანგებოთ წამალნიც კაცი მოარჩინოს.

აწ, ვისაც ამ წიგნითა და ამ წამლებითა უაქიმოთ და ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა ამ წამლებას მიხვეთითა იგი კაცი მოარჩეს და ელხინოს, მე, ცოდვილსა და უღირსსა იოანეს ნუ დამივიწყებთ. ვინც შენდობა მიბრძანოთ, ღმერთმან თქვენც შეგინდ[ნ]ეს თქვენი ცოდვანი და ამა უხანოსა სოფელსაც უბრალოდ ამყოფოს და ჯადოქარეულოსთ. და თქვენზედაც ალვად ქნას სასჯელნი და პირნახული ჩემნი".

„აწე ესე წიგნი სამთა გაყოფილი და სამ ნაწილად ცქნით და გავაჩინეთ. პირველი კარი ორი ბაბი არის. და ესე პირველი კარი საქიმოსა საქმეებსა გამეცნებს და გიანობაზს. მეორე კარი — საჭმელებსა, მაჯუნებსა და წარბათებსა გამეცნობს და გიანობას. მესამე კარი და წილი ყოელის ფერისა სენებისა და სატკივრისა მიხვნებსა, ნიშნებსა და წამლებს გამეცნებს და გიამბობს" (1r—2v).

**მინაწერები:** 1. „მე ეს კარაბადინი შეავსწორე, ასე მქონდა ნდომებაო. ვინც ამ კარაბადინით მორჩეს, ამ სოფელს დღეგრძელობა მითხარით და იმ სოფელს — ცხონებაო.

ქალაქ თბილიზის ქართველი ებაში სვიმონ დავითისძე ცოტაძე" (30v).

2. „ჩუღურეთშე, ქართველი ებაში სვიმონ დავითისძემ ცოტაძემ შევასწორე და შევამოწმე ესე კარაბადინი, მართალი და ჭეშმარიტი, ვინც ამ კარაბადინით მორჩების, ყველამ შენდობა შეუთვალონ ამის მოღვაწეს, შემსწორებელს და სხვათა. ამინ" (172v).

## 282

### რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1835

176 ფ.: 20,6×15,6; ქაღალდი; მუყაოს ყდა, სადა ტყავით შემოსილი, დახეთნებული, შებდრული; დასაწყისი და ბოლო ფურცლები ოდნავ დახეთნებული და მეტად ქუჩყიანია, განსაკუთრებით 174—176; 1835 წ.: ქვეყნიშანი: „1831" — (172 ფ. და სხვ.). „აღმწერელი იოსებ კანაძევი, მოწაფე ტფილისის სემინარიის უმაღლესის განყოფილებისა". 176r. შეძენილია გიორგი ბერღუთაშეილისაგან, 1935.

A

„Аb", და, კი.
Абум ეტკი
Агнец კრავი, ტარიგი, ბატკანი.
Агничій ტარიგისა.
Адамант ალმანტი..." 2r—166v.
თავდება: Θеологія — თეოლოგია, ღვთისმეტყველება".

**შენიშვნა:** 1. ლექსიკონის ტექსტს დართული აქვს „განმარტება ლიტურგიისა — წმინდა ეკლესია საბე არს ხილულისა ამის სოფლისა, რომლისათჳს წმიდა ღვთისმეტყველი გრიგოლ იტყვის.." (168r—175v).

2. ლექსიკონის პირველ გვერდზე (2r), ქართული შესატყვისების გვერდით, მცირთა-ლი მელნით, მიწერილია სომხური შესატყვისებიც (სომხური ტრანსკრიპციით).

**ანდერძი** (ვადამწერისა): I „ესე ლექსიკონი აღწერილად ჴელსა მეր ი ო ს ებ ქ ა ნ ძ ე ვ ი ს ა. **ჩუღე**-ს წელსა, თიბათვის ი ა". 166v, ტექსტის ბოლოს.

II. „ლექსიკონი ესე არს აღწერილი ი ო ს ებ ქ ა ნ ძ ე ვ ი ს ა, მოწაფის ტფილისის სემინარიის უმაღლესის განყოფილებისა და ეკუთვნის (აპოლ...). უკეთუ მოიპაროს ვინმემ, ჰრისხვედეს პირველად ღუთისა, მამისა, ძისა და ღუთისა წმიდისა მადლი და შემდგ წმ. ხერუბიმთა და სერაფიმთა და სხუათა წმიდათა მამათა მადლი, რომელნიცა იქმნებიან აღმომფხერილნი მის მომპაროვისა. ამინ, ამინ. ამინ (176r).

## 283

### ავგაროზი. XIX

**საერთო ზომა:** 35×23 — ერთი მთლიანი ქაღალდიდან გამოჭრილი, ერთმანეთთან დაკავშირებული ოცდათხი მრგვალი ნაჭერი ქაღალდისა: ამათგან პირველ ორზე (1,5) ფერადებით დახატულია კრისტეს სახე: დანარჩენი 22 უჯრიანს ტექსტს, რომელიც ჩაწერილია მრგვალად შემოხაზულ ფერად წრეებში; ჩაფებულია სავანგებოდ მოჭრილ ძველებურ ბოხჩაში; მხედრული; XIX ს.; შემოწირულია მ ი ხ ე ი ლ მ ა მ ლ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ.

„ე პ ი ს ტ ო ლ ე, მიწერილი იესო ქრისტეს მიერ ავგაროზის მიმართ. — ნეტარ ხარ შენ, ავგაროს და ქალაქი შენი, რომელსა რქჳიან ედესია..." 2—4,6—23.

თ ა ვ ე დ ე ბ ა: „ხოლო რაჲ ცხად ჰყოფს, რამეთუ მხსნელ ვეყავ ნათესავსა კაცთასა. ხოლო ფარი ცხად ჰყოფს, ვითარმედ ყოველითურთ მართალ და სამარადისო და ცხოველ ვარ და ვგიე უკუნისამდე".

**შენიშვნა:** 1. უკანასკნელ ნაჭერზე წარწერილია: „წ'ისა ამის ეპისტოლის მადლო! დაიცევ და დაიფარე მსასოებელი შენი მოსა ღ'თისა". ამ წარწერის გასწვრივ, მერმინდელი მინაწერია მცრთალი მელნით: „დ ი მ ი ტ რ ი ი ნ ა ნ ა ვ ი".

2. მ ო ჭ ა რ ე ბ უ ლ ი ბ ო ხ ჩ ა, რომელშიაც ჩაფებულია „ავგაროზი", ქართული მოჭარბულობის საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს: ზომით 6×7; გამოკრული აქვს აბრეშუმის სარჩული.

## 284

### ა პ ო კ რ ი თ უ ლ - ა ხ ტ რ ო ლ ო გ ი უ რ ი კ რ ე ბ უ ლ ი. 1862

98 ფ.: 22×17: ქაღალდი; უყდო, უკანა; თაკვისაგან ოდნავ დახიანებული; მხედრული; 1862 წ. 55r; შემოწირულია ვალიკო ურუშაძის მიერ (ს. მათხოჯიდან), 1935.

1. „კ ი თ ხ ვ ა - მ ი გ ე ბ ა ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ი. კითხვა წმიდისა და ნეტარისა დიდისა ა თ ა ნ ა ს ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი ს მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა. კითხვა-მიგებანი წმიდათა მამათა ჩვენთა ბარსანუფი და იოანესი. გვაკურთხენ, მამაო. — **კითხვა**: ვინა უწყის კაცმან ყოველად ყოველითურთ ნათელიღო და სული წმიდა მოიღო, ვითარ ჩჩვილად მყოფმან წმიდის ნათლისღებისა? **მიგება**: წინასწარმეტყველი ესაია იტყვის ღუთისა მიმართ..." 1r—7v.

2. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა მ ა ქ ს ი მ ე აღმსარებელ ი ს ა მიერ მიწერილთა მამისა თ ა ლ ა ლ ე ს [!] კითხვა-მიგება, გამოღებული რჩეევით, მცირენი კითხვა-მიგებანი, თავი თ. — უკეთუ ვი[ნ]მე ცოდოს და შეინანოს და კეალად შთავარდეს ცოდვასა შინა, ცუდ იქმნების სინანული იგი და შრომა..." 7v—11v.

3. „წმიდისა და ნეტარისა დიდისა ათანასი ალექსანდრიელ-მთავარეპისკოპოსისა კითხვა-მიგებანი წმიდათა მამათა ჩვენთა ბარსანუფი და იოანესი. გვაკურთხენ, მამაო. — **კითხვა**: რაითამე უცუე შენდობის ქრისტეს უარისმყოფელსა...“ 11v—13v.

**შენიშვნა**: შდრ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ. 1941, გვ. 371, § 9.

4. „სათნოებისათვის ვნებათა. კითხვა-მიგებანი. **კითხვა**: რომელნი საქმენი ბოროტნი განვაშორნე...“ 13v—15r.

5. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა. მეორედ მოსვლისათვის უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და რათა მარადის ვიხსენებდეთ დღესა მას დიდსა და საშინელსა. მამაო, გვაკურთხენ! — მოიხსენე წესიძრწუნებელი იგი დღე და საშინელი...“ 16r—18v.

**შენიშვნა**: ტექსტის დასაწყისი გაანსვავდება კ. კეკელიძის მიერ აღწერილის — იოანე ოქროპირის „მეორედ მოსვლისათვის უფლისა“ და „დღისა მისთჳს საშინელისა“-ჯან. შდრ. კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტ., I, თბ., 1941. გვ. 632, 631.

6. ზოდიაკონი. „მზემან იბ. — ვერძი მარტისა... 20 მიითვალება...“ (19r).

7. ქრონიკონი. „დასაბამითგან გარდასულთა წელთასა ადამისითგან წყლით რღვნამდინ **ცხმბ** (2242)...“ (19r—21r).

**შენიშვნა**: 1. ჩართულია ზოგიერთი ცნობა საქართველოს ისტორიიდან: „დასაბამითგან ქართლის მოქცევამდე წმიდის წინა მოციქულისა ზუთიათას ოთხას ორმეოცდაათხუთმეტი...“.20r.

2. „ესე წიგნი დაიწერა **ჩჯკე**. დეკემბრის ე — მოწმობს, რომ ხელნაწერი 1825 წლის დეკემბრიდან არის გადმოწერილი.

3. აქვე დართულია ცნობები თვეების დღეთა და „ჟამთა“ რაოდენობის შესახებ (20v—21r).

8. „კვირიაკე აის სეკდემბერს 3 და 24...“ 21r.

9. „იან'ნის ცხრამეტს მზე ზამთრათ იქცეს...“ 21v.

**შენიშვნა**: „მზის მოქცევასთან“ ერთად: „აპრილს 6 დაბნელდეს მთოვარე და სკუნდემბერს 30 დაბნელდეს მთოვარე“.

10. თუ იყოს ზედნადები 8, მას წელს იყოს ზამთარი თოვლიანი...“ 21v—23v.

11. „სიცოცხლისათვის და სიკვდილისათჳს. — უკეთუ იშვას მთოვარისა მჭონებელისათა ბედნიერი იყოს ყოველითურთ...“ 23v—25r.

**შენიშვნა**: ბოლოში დართულია „ნიშანი სამეცნიერონი ცხოვრებისა და სიკვდილისანი. პითაღორასი. — ისწავე, ოდეს დასწყუს სნეულსა..“ (სულ 6 სტროჭონიანი ტექსტია).

12. „ათნი წყლულებანი ეგვიპტისანი. — პირველად წყალი სისხლად გარდაქცია...“ 26r.

13. „ათნი მცნებანი მოსეს სჯულისანი. — მე ვარ უფალი ღმერთი შენი...“ 26r-v.

14. „კითხვა ძმისა ვისიმე დიდისა ეპიფანეს მიმართ. — რასათვის ნეტარებანი ვიდრემე ცხრანი არიან, ხოლო მცნებანი მოსესთვის მიცემულნი — ათნი...“ 27r.

15 „კითხვა-მიგება მცირე. — **კითხვა**: რა არს გარეგანი კერძო ქვეყანისაჲ? **მიგება**: ზღვა არს...“ 27r.

16. „ტაძრისა აღშენებისათვის მიცემულისა ნივთისა საცნაურ ქმნა დაწყება აღშენების. — დავით, დიდი მეფე და წინასწარმეტყველი...“ 27v—28r.

17 „შეუწუნარება და მრწემენან წმიდანი შვიდნი სოფლიონი კრებანი: ა. ნიკეას...“ 28r-v.

18. „კითხვანი მონაზენისა ვისმე, რომელთა აღხსნა გამოსცა პეტრე, პატიოსანმან ხარიტოველკმან [!]. — **კითხვა**: უკეთუ ჯერარს კურთხევასა წ[ა] ნათლითასა ქმნად ლანკანთა შინა კარ[დართა...“ 28v—31v.

19. „წ[ა]სა და ღმრთშემოსილისა მირონისათვის. — 3[დ] მოსე მოსცა ოთხთა სახეთაგან ქმნა მირონისა...“ 31v — 32r.

20. „გამოცხადება წმიდათა ანგელოზთა მიერ მაცხისა მაკარისა მიმართ მართლმადიდებლობით წესვენებულთა ძლითისა საქმისა. — გუთხრობად ჩენ მოწაფე აბბა მაკარისა, ალექსანდრიელისა...“ 32r—36v.

**შენიშვნა**: ტექსტი პეტრესა და გრიგოლის დიალოგს წარმოადგენს.

22. უკეთუ გინდეს ცნობა, ესე არიან შვიდნი საროკულნი ცისანი...“ 51r-v.

**შენიშვნა**: 1. ტექსტის ბოლოს, ცალკე სტრიქონზე: „ტ ფ[ი]ლისა ერკვა სახელად ფატავარან“.

23. „ეპისტოლე აგვაროზ მთავრისა, რომელი მიუწერა უფალსა ჩენსა იესუ ქრისტესა. — აგვაროზ, მთავარი ედესიისა...“ 51v—53v.

**შენიშვნა**: აქვეა ქრისტეს ეპისტოლე აგვაროზისადმი და „პეჭდები“.

24. „შემდგომად აღდგომისა იქმნება ხოროცი ოთხშაბათს და პარასკევს...“ 53r-v.

25. „სასფიალოსოფოსო წიგნისაგან აღმოწერილი... — ნეტარ არს, რომელმან დაიმარხოს მცნება ესე...“ 53v—55r.

**შენიშვნა**: ბოლოში უხის თარიღი: „ჩყჵბ წელს“.

26. „ამას ეწოდების ათცხრამეტური. 55r—56v.

**შენიშვნა**: 1. დაბატუნება გაშლილი მარცხენა ხელის გული, რომლის ხუთივე თითს შესაფერისი ანბანი აქვს წარწერილი (ნესხურით).

2. 55v-ზე—მარცხენა და მარჯვენა ხელის გულებზე, თითებზე, გარდა ცერებისა და მარჯვენა ხელის სალოკი თითისა, სხვა წესით არის მიწერილი ასოები (ნესხურითვე). ქვემ მოწერილია: „ამათ ეწოდების ხელთა“.

3. 56r-ზე ჩამოწერილია თვეების სახელები, მარტიდან თებერვლამდის, ყოველი მათგანის ასოს აღნიშნით: „მარტს აქვს ე: აპრილს ა —...“

4. ბოლოში მოთავსებულია განმარტება: „ხელთათი თუ დადგების და ითცხრამეტ-ტერით აღდგომა...“ (56r-v).

27. „თავი მეორე ეტლებისა პყრობა დაბადებულთა. ეს შვიდნი ეტლნი პატრონებენ ყოველთა ქვეყანათა ზედა, მეტად ყოველთა ცხენოსთა [ცოცხალთა?] ცხოველთა ზედა და უზესთაესად ადამის ტომზედან. წინაბრალელ ეტლი მთოვარე...“ 56v—61r.

28. „თავი მესამე. ეტლები თუ როგორ უნდა შევიტყოთ კაცის ხელზედ მისი ნაქმარნი საქმენი...“ 61r—65r.

**შენიშვნა:** მესამე თავს მისდევს: მეოთხე — „თავის და შუბლის ამის შეტყობა“; „თავი მეხუთე სხის [!] სახეზედან რაც რომ ასხა [?] მათ[ი] შეტყობაჲ“.; „თავი მეექვსე. მკერდის და მწვრივისა ფეხების შეტყობაჲ.“; „თავი მეშვიდე. ვადარისა და დარის შეტყობაჲ...“ „არისტოტელი იტყვის შეხისათვის...“ „ღრუბელი ჩვენგან შორის არი ხ[უთ ალაჯი; ქუხილის სიშორე ჩვენგან ოთხი ალაჯი...“ „თავი მერვე. მთვარი[ს] სიკეთის და სიმარცხის დაბადებულთა ზედა...“ (75r): „მონაჯიბები იტყვიან, ნამეტნავათ ალექსანდრე გალილეო, გაავეთებინა ათი ახალი დღრანბინდი სათვალე და შეხედა და ასე დაამტკიცა, რომ [მ]თვარეში შავ-შავი ლაქა რაც ჩანს, მისი წყაროანი არიან...“ „თავი მეცხრე. მთვარისა და ეტლების შემოყრის ერთმანერთთან.—პირველ დღეს მთვარე შეეყრება ზაალ[ს]...“ თავი მეათე. მთვარის სადგომებისა შესახებ...“ („სადგომების სახელები: ერკვლიის მთარჯა, ალთაია, ატარაი, ალდგ; ალფატია, ალარიქ, ანტარქია, აჯული იქე, ამბორა, ამარფა, ალფყარე, ამენაქია, ალბეთალჯუქე, სადაჩანა, სადაგალა, სადაქად, სადალატია, ალეთი, ალყარჯა, ალბოთან]: „თავი მეათერთმეტე. პატრონობა მთვარისა ყოველ დღეზედან წინა“. (65r—86r).

29. „ვარსკვლავთ-მრიცხველობა, რომ თუ რომელს წელიწადს, რომელს თვეში, რომელს ღამეში, რომელს ბურჯზედ, რომელს ნაწილში დაბნელდებაინ მზე, ან მთვარე...მზის სიდიდე ასე უნდა შევიტყოთ...“ 86r—87r.

30. „თავი მეათცამეტე. მთვარე და მზე რომელს წელში რომელს თვეს, რომელს კვირას, რომელს დღეს, რომელს საათზედ დაბნელდების. ჭორონიკონს: ტჸ. ამ წელს სამ დაბნელება იქნებისა: ერთხელ მზისა და ორჯერ მთვარის...“ 87r—90r.

31. „თავი მეთოთხმეტე. ძოდიაქოს შეტყობა, რომელ არს დამწვარი სარტყელი. აწ ეს მოდიაქოს [!] შეჭმნილ არს თორმეტის ბურჯისაგან...“ 90r—91v.

32. „პირველი მთოვარის სიარული მოგახსენოთ. მთვარე იარების ერთს ჭამს ოცდათორმეტს წინწყალს და ერთი წინწყლისაგან მესამედის ერთი კერძი, მესამე მესამედისაგან — მეოთხედი, ერთი კერძი მეოთხედისაგან მეხუთედი, ერთი კერძი; მეხუთედისაგან მეშვიდეთის [!] ერთი კერძი. აწ ესენი, რასაც ვსწერ, ცოტაღ ძნელია ამითი შეტყობა. მისთვის უოსტატოთ კაცსც მართლად ვერ მიხვდება...“ „მზე, ზოპრა და ოტარიდი, ესენი სწორედ ერთად გაათეებენ მის სიპრულსა, ერთ ჭამს იარებიან...“ „მუშთარ იარების ერთს დღეს 4 წინწყალს...“ „ზოჰალ ერთ დღეს იარების 8 წინწყალში...“ 93r—97v.

**შენიშვნა:** 1. ტექსტში ჩართულია დედამიწის გამოხატულება („ქვეყანა, წყალი“), შეკრული წრის სახით: დედამიწის გარშემო თორმეტი წრეა შემოყვლებული; ამთავან პირველი სამი: „ჰაერი“, „ცეცხლი“, „მთოვარის ცა“ (92r).

2. დართული აქვს მნათობების და ბურჯების გამოხატულება (98r-v).

## 285

### დადიანი დავით. რუხის ომი. 1892

163 ფ.; 22×18; ქაღალდი; დაზიანებული, განსაკუთრებით 160—163 ფ. ჯაბეული და ძალით მომაგრებული; ჩადებულია მუყაოს ჰრელ ყდაში; მხედრული (ასტოგრაფიი?); 1892 წ.; შეძენილია დადიანის ქვრივისაგან 1935.

„რუხის ომი. კარი I. — კავკასიის მთათ დიდი მდინარე
მოქუხს, მოქექავს, მოარღევენ კლტეთა [!].
ლამის წალეკოს კოლხიდის მხარე,
ახლად გვიბრუნებს წარღვნისა დღეთა...“
2r—163v.

თავდება: „ამით გათავდა რუხისა ომი
და ეს ამბაჲი მე მათქუეენეს“.

შენიშვნა: 1 „რუხის ომის“ ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი: „მის უგანათლებულესობას მეგრელიის მთავრის ლეონ მეორის ძს, გრიგორი დადიანს, ღენერალ-ადიუტანტს, სხეთა და სხეთა ორდენთა კავალერს — უძღვნი კნიაზი დავით გიორგის ძე დადიანი. 1892 წელსა, თებერვლის 2-სა“ (1r).

2. ბელნაწერს ძველი გვერდთბერვითი პაგინაცია აქვს (1—325), რომელიც ერთი შეცდომის გამო (121 გვერდს შემდეგ აღნუსხულია ვვ. 123) გამოუსადეგარია.

## 286

### დადიანი, დავით. ახპინძის ომი. XIX

20 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო, რვეულად შეკრული; მხედრული (ასტოგრაფი)?; XIX ს. მიწერილი. შეძენილია დადიანის ქვრივისაგან 1935 წ.

„ახპინძის ომი. პოემა.

„ვინც სამშობლოსთვის ერთგულად იბრძვის,
ის საყვედურსა არ ერიდება...“ 1r—20v.

თავდება: „შამა-პაპათა ნაქმარნი შვილებთა დავვამბილებს;
მათისა ზნისა მოყოლა სამშობლოს შეგვამკობინებს;
გარდავიწყება იმათი მაღე სჯულს შეგვაცვლევინებს“.

შენიშვნა: ტექსტის პოლოს მიწერილია
„დავით გიორგის ძე დადიანი“.

## 287-ა

### ივანე მაჩაბლის მოწაფეობის რვეული. XIX

6 ფ.; 22×18; ქაღალდი; ეზაზო რვეული; უყდო (9 ფ. ბოლოში ამოკრილია, ტეტრადა — დაუწერელი); მხედრული; ივანე მაჩაბლის ხელით; პეტრე უმიკაშვილის ხელით ნასწორები (ლურჯი ფანქრით); XIX ს. 70-იანი წლებისა. პეტრე უმიკაშვილის არქივიდან; ფილიპე გოგიჩაიშვილისაგან. 1935.

„ქართულის რვეული ივანე მაჩაბლისა. მითოლოგიისგან.
XII. მედეა არგონავტებს პირდება თავის შეწევნას. — იასონ აიყარა თავის

ადგილიდგან და აგვე, ტელემონ და არგოსითურთ დაანება თავისუფლება 1r—6v.

**შენიშვნა:** რვეულის თავფურცელზე ფ. გოგინაშვილის ხელით წარწერილია: „პეტრე უმიკაშვილის არქივიდან. ნასწორებია პ. უმიკაშვილის მიერ, რომელიც ქართველოლოგიის მასწავლებელი იყო გიმნასიაში.

5. III. 35. ფ. გ."

## 287-ბ

### ვახლ აბაშიძის მოწაფეობის რვეული. XIX

3 ფ.; 20,7×16,7; ქაღალდი; უხაზო რვეული; უყდრო (ბოლოში ამოჭრილია 7 ფ. — დაუწერელი); მხედრული; ვახილ აბაშიძის ხელით; XIX ს. 70-იან წლებისა. პეტრე უმიკაშვილის არქივიდან; ფ. გოგინაშვილისაგან. 1935.

„ჩემიერ გატარებული დრო კანიკულებში. — ჩყო წელსა, მარტის ლ-ს დღესა, მე და ჩემი ამხანაგები დავგვითხოვეს სწავლისაგან კანიკულეფში... 2r—3r.

**შენიშვნა:** 1. რვეულის თავფურცლის წარწერა ვ. აბაშიძის ხელით: „ეს ქართული რვეული ეკუთვნის ვახილ აბაშიძეს.

По грузинскому языку Василия Абашидзе. 3-го класса, I-го отделения (1r).

2. ფ. გოგინაშვილის მინაწერი: „პეტრე უმიკაშვილის არქივიდან.

5. III. 35. ფ. გ." (1r).

## 288

### მესხი, ი[ვანე]. ქართული წერის ნიმუშები. 1871

14 ფ.; 11×18; ქაღალდი; უყდრო, რვეულად შეკრული; მხედრული; 1871 წ.; ავტოგრაფი; ადგილი: ახალციხე. შემოსწირა მუზეუმს ლ. ციხისთავმა.

„ძველებური თავი ასოების და რგვალის ხელი. — ა, ბ, გ, დ, ე..." 2r—14r.

**შენიშვნა:** 1. ტექსტში წარმოდგენილია ქართული მხედრული ანბანის 13 სხვადასხვა ვარიანტი, შედგენილი ივანე მესხის მიერ („ჭვინმე მესხი" — გვარამაძე), და დაწერილი 2—14 ფ. r-ოებზე. ტექსტს წინ უძღვის: „ცნობა: ერთმან კეთილმოსურნე მამულის მოყვარემან შემიკვეთა მე ეს ნივთი საქმე: მიმებაძა ფარნავაზური ასოები ევროპულ ასოების ფორმასა..." (1r).

ხელს აწერს „მესხი ი. მღ. ჯ. 1871, ახალციხე".

## 289

### ახალი აღთქმის ისტორია. XIX

78 ფ.; 17,5×11,5; ქაღალდი; უყდრო, უკანო; მხედრული (გაუმართავი); XIX ს. შემოსწირა აკაკი გაწერელიამ.

[ახალი აღთქმის ისტორია]. „...იქმნევა. წაიყვანე შენი ცხვარი და გაგვეცალე. როცა ეს გ[ა]იგონა; მიაბა საბელი თავის სამას სამხოთსა და

წამოიყვანა. დაბრუნდა შინისაკენ დაწუნებული ტირილით, დაესია [!] იყრიდა დ[ა] იტყოდა. კიდევ გაბრუნდა ცალკე, დაკლა. დ[ა]ჩოჩა ტირილითა..." 1r—78v.

წყ უ დ ე ბ ა: იესო ქრისტეს ჯვარცმის და ღვთისმშობლისაგან მისი გლოვის ამბებზე: „ვაი, ჩემსა ყურებსა, რომა შენ[ა] სიტყვა გავიგონე; ვაი, ჩემს ბაგესა, რომა შენა გემთხვივე; ვაი, ჩემსა ენასა, რომ შენი გეხეწნები! აჰა, აღარა მოხვალ დედის..."

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა: 1. ტექსტი „ახალი აღთქმის" ამბების აპოკრიფულ გადმოცემას წარმოადგენს.

2. იგი ა-ფეტი და, საერთოდ, გაუმართავია.

## 290

### ლოცვანი (ფრაგმენტი). XVIII

95 ფ.; 10,5×8; ქაღალდი; ნუშდა; დაშლილი. თავბოლონაკლულია: დახიხებულია ფ.ფ.; 5ი — გახეხული და ძალით გაკერილი; 49 — გახეხული აქვს ზემო კუთხე; 30v—31r — ლერწო მელნის ლაქები აქვს; აკლია: ბოთი რეული დასწყისში (ა-ე რეულები, ე. ი. 40 ფ.); ზ რეულს აკლია 2 ფ.; ნაკლულია ბოლოშიაც; მიდერული; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; XVIII ს. II ნახევარი: გადაწერილი: ნ ი კ ო ლ ო ზ ნ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი; პრიმიტიული თაქაშოლობა: 6v, 8v, 51r, 82r; 50v-ზე დაწებებულია რუსული ნაბეჭდი წიგნიდან ამოღებული ჩვილედი ღვთიმშობლის გამოხატულობა. შეძენილია დეკანოზ შვილისაგან.

„...[თ ვ ე ნ ი...თ ვ ე ს ა ა პ რ ი ლ ს ა აქვს დღე ლ, დღეთა აქვს ჟამი ოგ და ღამეთა-ია]... ტ: წ~სა მოციქულისა იოდიონ, აგაბოს და მისთანათა. თ: წ~სა მოწამისა ევსუქისი..." 1r—95v.

წ ყ უ დ ე ბ ა: იესოს ჯვარცმისა და სიკვდილის „მოგონებაზე": „ოი, სულო ჩემო, მოიგონე და სტიროდე, იოსებ, მწარედ შეწუხებული, როდეს მარიამს შეწუხება და გოდება რომ..."

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი ს ტ ე ქ ს ტ ი ს შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა:

1. მოკლე „ოვენი" (თვნსკლული, 1r—11v).

2. ღთისმშობლის „ჯვაკრთხენი" (თავნაკლული). (12r—36r).

3. „ლოცვა წისა ღვთისმშობლისა მიმართ, რომელსა დ ა უ ჯ დ ო მ ე ლ ი ეწოდების". (36r—44v).

4. „ლოცვა დღითი-დღე სათქმელი წ~ისა ი ო ვ ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა. — დიდება შენდა, ღმერთო, დამბადებელო და ამეტებელო ყოველთაო..." (44v—49v).

5. პარაკლისი, ახლად თარგმნილი. საედრებელი ყოფილად წმიდისა ღვთისმშობელისა მიმართ. — მოედითი, თაყვანისცეთ.. (51r—78r).

6. „ე ქ ს ი მ ო ს ა გ ო ნ ა რ ი. ლოცვა სენდისისა, ცრემლით მოსაგონარი. ოცდაოთხ საათში ერთხელ უნდა ილოცოს და განიზრახოს სიკვდილი — პირველად მოიგონე და განიზრახე..." (78v—81v).

7. „ლოცვა ცრემლით სათქმელი სენდისისა და მოგონება იესოს ჯვარცმისა და სიკვდილისა. — ეჰა, ეჰა! ვაი შენდა, ოი, სულო ჩემო..." (82r—95v).

ა ნ დ ე რ ძ ი (ჭადამწერისა): „ყოველად უღირსმან მღვდელ[მან] ნ ა ჩ ი ა ხ ა შ ვ ი ლ მ ა ნ ი კ ო ლ ო ზ აღესწერე ლოცვა, თორმეტი თვე, დაუჯდომელი და პარაკლისი ღმერთო! მშვიდობაში ახმარე პატრონს" (78r).

## 291

**ჟამნი.** XVIII

221 ფ. (ძველი პაგინაციით: 5—5, 14—122, 124—125, 127—232, რომელიც ფურცლების ნაკლებობის და ორიოდე შეცდომის გამო ადარ გამოდგება); 11×8,5; ქაღალდი; ტიტიერული ტაეპით შემოსილი მორკეული ხის ყდა, კრისტეს და ღვთისმშობლის გამოხატულებით; თავნაკლული, დაზიანებული; ზოგიერთი გვერდი დაბუღნილია ფანქრით (2r, 18r, 108r. 135r, 136r და სხვ.); 135-ე ფ. მოცილებულია; 64-ე ფურცლის მცირე ნაშთია მხოლოდ. მხედრული; XVIII ს.; შეძენილია ყანჩელისაგან.

„... (და აცხოვნე), სახიერო, სული ჩვენი". „წმიდაო ღმერთო" და „შამაო ჩვენო". „კირიელეისონი" **ბბ**. „მოვედით, თაყუანის ვცეთ მეუფესა, ღმერთსა ჩვენსა..." 1r—220r.

წ უ ყ დ ე ბ ა: აღდგომის „ოხითა-იბაკოზე"; აღრასდეგ, მჭსნელო, საფლავთ... ვინაცა კიდენი სოფლისანი დღესასწაულობენ მკუდრეთით აღდგომისა შენისათვის, მრავალმოწყალე ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა".

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. შდრ. „ჟამნი", დაბეჭდილი ვახტანგის სტამბაში 1717 წ.; რომელსაც მასალის განლაგებით ემთხვევა ეს ხელნაწერი (ხელნაწერის 1r-ν ემთხვევა ნაბეჭდის გ—დ გვ.; ხელნაწერის ბოლო გვერდები 206ν—220r — ემთხვევა ნაბეჭდის ტპდ — (ტ)ე გვერდებს).

2. ხელნაწერში მასალა ნაბეჭდი ჟამნის მასალასთან შედარებით შემოკლებით არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით „თ ე ე თ ა მ ე ტ ყ ე ვ ე ბ ა" (ნაბეჭდის: **რჟთ—ტნგ**).

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი (მხედრული ხელით):

1. „ქ. პროტოპოპი გიორგი მაღრაძე რუსეთს წავიდა და თავისი დისწული იოანე კლიმიაშვილი თან ახლდა.

მოელეს ყირიმი, პოლშა, კი[ე]ვი, თავისი ეპარხიათი, ნიჟნი, ხარკოვი, ბელაგოროთი, თავისი ეპარხიათი, ვარონიში, ჩერკეზ-ყირმანი, ასტრახან-ყიზლარი, მოსდოგი, ეკატირინესლავი, თავისი ეპარხიათი. თებერვლის თექვსმეტს, ქკს **უპა**.

ქართლში მოვიდენ მწყრდობით ქრისტშობის თხუთმეტს, ქკს **უპდ**" (221r).

II. სხვა ხელით, მხედრულითვე, მცრთალი მელნით, აღნიშნულია ხმალაძის ასულის დარიას დაბადება 1843 წ. და ალექსანდრე ხმალაძის დაბადება 1844 წ. (220ν).

III „ქ. იოსებ ჯავახას შვილი მი[ი]ცალა. ქკს **უპჯ**" (221ν · იმავე ხელით როგორც მიწერილია ჯ. მაღრაძისა და ი. კლიმიაშვილის მოგზაურობის მარშრუტი).

## 292

**იბაკონი და იაკოსნი, მარგალიტიდან" კითხვა-მიგება და სხვ.** XVIII

I. 170 ფ.; 8×5,5; ქაღალდი (სხვადასხვა); ტაეპგადაკრული ტიტიერული ხის ყდა; თავნაკლული ტექსტი აღდგენილია მერმინდელი ჩანამატი 1—2 ფურცლით მხედრული; ძირითადი ტექსტი (XVIII ს.) დაზიანებულია: 1, 1—2 ფ. ფ. შეძენილია ივანე ხუციშვილისაგან.

1. „იბაკონი და იაკოსნი. — ზესთა — მბრძოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა... I, 1—120ν.

**შენიშვნა:** 1. ძირითადი ტექსტის თავსაკლული ნაწილი იწყება: „[კად]ნიერებით საკვირველებაჲ ჴმისა შენისა...“ (2r).

2. „იბაკო — იყოსთა“ შედგენილობა:

ა. „გიბაროდენი“ — „გიბაროდენ, მესაიდუმლეთაო განზრახვისა გამოუთქმელისაო...“ (2v—29v).

ბ. „ლოცვა ყოვლადწმიდისა ღ[ა]თისმშობელისა მიმართ, თქმული ღირსისა ფილოთეოს კოსტანტინოპოლელ მთავრეპისკოპოსისა. — უბიწოო, შუენიერებელო...“ (30r—44v).

გ. „სხუა ლოცვა ყოვლად წმიდისა ღ[ა]თისმშობლის მიმართ. — მიიღე, ყოვლად კეთილმოღებაჲ...“ (44v—47r).

დ. „სხუა ლოცვა სავედრებელი. — ოი, დიდო მეუფეო, ყოველსა მპყრობელო, მოწყალეო ტფილო, იესო ქრისტე...“ (47v—49r).

ე. „ლოცვა დღითი-დღე სათქმელი წმიდისა ღ[ა]თისმშობელისა მიმართ, უკეთუ ჴსენის ხილვა მისი ჯაჭუა სულისა შენისა გჳსურდესსა. — მეიწყნარე აწ, დიდებულო დედოფალო...“ (49v—60r).

ვ. „ლოცვა განთიად და მიმწუხრ სათქმელი წმიდისა იოვანე დამასკელისა. — დიდება შენდა, ღმერთო, დამბადებელო, აწ[ე]ბელო...“ (60v—73v).

ზ. „გალობანი წმიდისა ღ[ა]თისმშობლისანი, ვიდრე ჰ[ა]. სძლისპირი. გალობა ა. — ქებაჲსანაჲ მწყურნებსა, ეითარცა ვნებულსა, განვიდა და შრომათაგან ეგჳპტისათა განურა...“ (73v—80v).

თ. „გალობა ჹ. სძლის პირი. — მესმა, ტფილო, ვანგებაჲ საიდუმლოთაჲ შენთა გამოუთქმელთაჲ...“ (80v—102r).

ი. „ლოცვა ლმობიერად სათქმელი ღ[ა]თისმშობელისად. — ოი, ყოველადწმიდაო დედოფალო...“ (102r—108r).

ია. „ლოცვა შუაღამისა, გინა სხუა ჟამისა, ოდესაც ჴენებაჲს, თქმული ვასილი დიდისა. — მეუფეო ზეცათაო, ღმერთო პეშმარიტო, რომელმან მოაკლინე ძე შენი...“ (109r—120r).

2. „კითხვა-მიგებანი რომელნიმე, გამოკრებულნი მარგალიტიდამ და რომელნიმე იგავნი სახარებისანი და ფსალმუნთაგან გამოკრებულნი. კითხვა-მიგება გრიგორისი და ვასილისი. — ვასილი ჰკითხა: სად გამოდის ერთის თვალისაგან ორი? გრიგორი მიუგო: სოდომს და გომორას. კითხვა: ღვედრმან ჴმა ჰყო და ბორსლნი მოვიდეს? მიგება: დავითის შურდულმან ჴმა ჰყო და გოლიათი მოკლა...“ 121r—138v.

**შენიშვნა:** 121 ფურცლიდან სხვა ქაღალდი იწყება და სხვა ხელით არის ნაწერი.

3. „კალანდრა, თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა. — უკეთუ დადგეს იანვარი დღესა კჳრიაკესა, ზამთარი იყოს ნოტიო...“ 139r—143r.

